# ქაც&ქალი

№1(4) 2011





Women's Information Center

პუბლიკაცია მომზადდა ფონდ "KVINNA TILL KVINNA"-ს მხარდაჭერით.

ჟურნალი გამოიცა ქალთა გლობალური ფონდის მხარდაჭერით.

ISSN -1987 - 9679

UDC(უაკ) - 396 (051.2)
ჯ - 699
j - 76

ანალიტიკური ჟურნალი

© ქალთა საინფორმაციო ცენტრი

ავტორი:
ელენე რუსეცკი

სარედაქციო ჯგუფი:
ნინო მოდებაძე
თამარ გოგოლაძე

ყდის დიზაინი:
გიორგი დავითიანი

დაკაბადონება:
თიკო ხარშილაძე

ქალთა საინფორმაციო ცენტრის გამომცემლობა
მისამართი: თბილისი, 0102, წინამძღვრიშვილის ქ. N40;
ტელეფონი: (995 32) 2 95 29 34;
ფაქსი: (995 32) 2 94 26 99
ელ-ფოსტა: office@ginsc.net

# შინაარსი


5 წინასიტყვაობა

**ნაწილი I**
6 **კონვენცია ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ: ზოგადი ინფორმაცია**

6 1.1 ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ კონვენციის (CEDAW) მუხლობრივი მიმოხილვა

8 1.2 ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ კონვენციის (CEDAW) ფაკულტატური ოქმი

8 1.3 ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ კონვენციის (CEDAW) რატიფიცირება

9 1.4 ქალთა დისკრიმინაციის აღკვეთის კომიტეტი

9 1.5 ქალთა დისკრიმინაციის აღკვეთის კომიტეტის მუშაობა

**ნაწილი II**
11 **CEDAW-ს ანგარიშის მზადებისა და წარდგენის პროცედურა**

11 2.1 მონაწილე სახელმწიფოების ვალდებულებები

11 2.2 CEDAW-ს ანგარიშის წარდგენის მიზანი

13 2.3 CEDAW-ს კონვენციის შესრულების შესახებ ანგარიშის მომზადება

13 2.4 CEDAW-ს კონვენციის შესრულების მომდევნო პერიოდული ანგარიშები

15 2.5 CEDAW-ს კომიტეტის მიერ ანგარიშების განხილვა

16 2.6 CEDAW-ს ალტერნატიული ანგარიში

**ნაწილი III**
17 **კონვენცია ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ: ისტორია და რეალობა**

**ნაწილი IV**
18 **ძირითადი რეკომენდაციები, რომელიც მიეცა საქართველოს CEDAW-ს შესახებ მეორე და მესამე ანგარიშის წარდგენის შემდეგ**

18 4.1 სფეროები, რომელიც იწვევს შეშფოთებას და CEDAW-ს კომიტეტის მიერ გაცემული რეკომენდაციები

**ნაწილი V**

25 **კონფერენცია: „ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ კონვენციის იმპლემენტაცია საქართველოში: წინააღმდეგობები და პერსპექტივები”**

26 5.1 2006-2011 წელს ქალთა უფლებებისა და გენდერული საკითხების შესახებ ჩატარებული კვლევები საქართველოში

37 5.2 საზოგადოებრივი და პოლიტიკური მონაწილეობა: ეფექტური მოქმედებები და პერსპექტივები

40 5.3 სამოქმედო სტრატეგიის შემუშავება ქალთა დაწინაურების ხელშეწყობისთვის

43 5.4 ეკონომიკური მონაწილეობა: რესურსებზე თანაბარი ხელმისაწვდომობა

46 5.5 ქალთა მოწყვლადი ჯგუფები: პრობლემები და მათი გადაჭრის გზები

**ნაწილი VI**

49 **რეკომენდაციების პაკეტი CEDAW-ს კომიტეტში ალტერნატიული ანგარიშის წარსადგენად**

50 6.1 მოსამზადებელი ნაბიჯები

53 6.2 რეკომენდაციები ალტერნატიული ანგარიშის მოსამზადებლად

54 6.3 CEDAW-ს კომიტეტის წინასასესიო სხდომა

55 6.4 CEDAW-ს კომიტეტის სესიები

56 გამოყენებული ლიტერატურა



აღნიშნული მასალა ეყრდნობა კონფერენციას - „ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ კონვენციის იმპლემენტაცია საქართველოში: წინააღმდეგობები და პერსპექტივები”, რომელიც ჩატარდა 2010 წლის ნოემბერში, ქალთა საინფორმაციო ცენტრის ინიციატივით, შვედური ფონდის „ქალები ქალებისათვის” (Kvinna till Kvinna) მხარდაჭერითა და ქალთა განათლებისა და ინფორმაციის საერთაშორისო ცენტრთან პარტნიორობით, რომელიც ნიდერლანდების სამეფოს საელჩოს სამოქალაქო საზოგადოების პროგრამის (Matra) ფარგლებში ახორციელებს პროექტს ქალთა საინფორმაციო ცენტრთან ერთად.

ჟურნალის მეოთხე ნომერი გამოიცა ქალთა გლობალური ფონდის მხარდაჭერით.



# წინასიტყვაობა



*„ჯონ&ჯოლის" მეოთხე ნომერი ეძღვნება ერთ-ერთ მნიშვნელოვან დოკუმენტს, ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ (CEDAW) კონვენციას, რომელსაც საქართველო 1994 წლის 22 სექტემბერს მიუერთდა.*

*დღეს, ქვეყანაში, პოზიტიური ცვლილებები მიმდინარეობს საკანონმდებლო კუთხით და მიღებულია არაერთი კანონი ქალთა უფლებების დასაცავად. განსაკუთრებულ ყურადღებას, ამჟამად, არასამთავრობო ორგანიზაციები, სწორედ კანონის იმპლემენტაციას, ეროვნული კანონმდებლობისა და საერთაშორისო ვალდებულებების შესრულებას აქცევენ.*

*უკვე ერთ წელზე მეტია არასამთავრობო ორგანიზაციების მონაწილეობით დაიწყო ალტერნატიული ანგარიშის მოსამზადებელი პროცესი. ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაბიჯი ამ პროცესის სწორად წარმართვისათვის გახლდათ კონფერენცია „ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ კონვენციის იმპლემენტაცია საქართველოში: წინააღმდეგობები და პერსპექტივები". აღნიშნულ კონფერენციაზე არასამთავრობო, საერთაშორისო ორგანიზაციებისა და აკადემიური წრეების წარმომადგენლებმა წარადგინეს 2006 წლიდან დღემდე ქალთა უფლებებსა და გენდერული თანასწორობის კუთხით ჩატარებული კვლევები. ჟურნალის მიმდინარე ნომერი სწორედ ამ კონფერენციის შედეგებს მიმოიხილავს.*

*ჩვენ მზად ვართ მივიღოთ ნებისმიერი შენიშვნა და წინადადება, ღია ვართ თანამშრომლობისათვის და მოგიწოდებთ ჩაერთოთ ალტერნატიული ანგარიშის მომზადების პროსცესში, რომელიც დაეყრდნობა კონკრეტულ ფაქტებსა და კვლევებს.*

*ვიმედოვნებთ, რომ გაწეულ შრომას მოჰყვება შედეგი კომიტეტის მიერ გაცემული სასარგებლო რეკომენდაციებისა და სახელმწიფოს მხრიდან კონსტრუქციული თანამშრომლობის სახით, ქვეყანაში ქალთა დისკრიმინაციის აღმოფხვრით რეალური თანასწორობის მისაღწევად.*

ელენე რუსეცკი

# ნაწილი I

## კონვენცია ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ: ზოგადი ინფორმაცია

**მიღებულია და ღიაა**
ხელმოწერის,
რატიფიცირებისა და
მიერთებისათვის
გენერალური ასამბლეის 1979
წლის 18 დეკემბრის
რეზოლუციით 34/180

ძალაშია: 1981 წლის
3 სექტემბრიდან 27 (1)-ე
მუხლის თანახმად

ამ კონვენციის მონაწილე
სახელმწიფოები,
რომლების >>

1979 წლის 18 დეკემბერს გაეროს გენერალურმა ასამბლეამ მიიღო კონვენცია ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ, რომელსაც ქალთა უფლებების საერთაშორისო ბილსაც უწოდებენ. აღნიშნული კონვენცია განსაზღვრავს ქალთა მიმართ დისკრიმინაციის არსს და იურიდიულად ავალდებულებს მონაწილე სახელმწიფოებს ბოლო მოუღონ ამგვარ დისკრიმინაციას.

კონვენციამ, რომელსაც აქვს სავალდებულო იურიდიული ძალა, ერთ დოკუმენტში გააერთიანა სქესის ნიშნით დისკრიმინაციის ლიკვიდაციის შესახებ დებულებები სამოქალაქო, პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების განხორციელებისას, ასევე, განსაკუთრებული უფლებები, რომელიც ეხება გოგონებსა და ქალებს.

### 1.1 ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ კონვენციის (CEDAW) მუხლობრივი მიმოხილვა

კონვენცია შედგება პრეამბულის, 6 ნაწილისა და 30 მუხლისაგან. პრეამბულაში ნათქვამია, რომ გაეროს წესდებისა და სხვა საერთაშორისო შეთანხმებების შესაბამისად, ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრა და თანასწორობის ხელშეწყობა გაეროს ძირითად და მთავარ პრინციპს წარმოადგენს. საერთაშორისო საზოგადოება დიდ ყურადღებას აქცევს იმ ფაქტს, რომ მიუხედავად მიღებული დოკუმენტებისა, კვლავ ხდება ქალთა მიმართ დისკრიმინაცია. დისკრიმინაცია არღვევს თანასწორობას, ადამიანის პატივისცემასა და ღირსებას. ხაზგასმულია ის ფაქტიც, რომ ქალთა მიმართ დისკრიმინაცია აბრკოლებს მამაკაცისა და ქალის თანაბრად მონაწილეობას ქვეყნის პოლიტიკურ, სოციალურ, ეკონომიკურ და კულტურულ ცხოვრებაში, ხელს უშლის საზოგადოებრივი და ოჯახური კეთილდღეობის გაუმჯობესებას და აძნელებს ქალთა შესაძლებლობების სრულ გამოვლენას ქვეყნისა და კაცობრიობის საკეთილდღეოდ.

**მუხლი** 1-6 - აღნიშნულ მუხლებში ასახულია მონაწილე სახელმწიფოების შეთანხმება გაატარონ ყველა შესაბამისი ზომა ქალთა ყოველმხრივი განვითარებისა და პროგრესის უზრუნველსაყოფად საკონსტიტუციო, საკანონმდებლო და ადმინისტრაციული თვალსაზრისით. ასევე, მიიღონ დროებითი ზომები, რომელიც მიმართულია მამაკაცთა და ქალთა ფაქტობრივი თანასწორობის დამყარების დასაჩქარებლად. მონაწილე სახელმწიფოებმა მიიღონ შესაბამისი ზომები, რათა შეცვალონ მამაკაცთა და ქალთა ქცევის სოციალური და კულტურული მოდელები, აღკვეთონ ქალებით ნებისმიერი სახით ვაჭრობა და ქალთა პროსტიტუცია ექსპლუატაციის მიზნით. აღსანიშნავია, რომ კონვენციის 1 მუხლში მოყვანილია ქალთა დისკრიმინაციის ცნება, რომლის მიხედვითაც:

***„ქალთა დისკრიმინაცია ნიშნავს სქესის ნიშნით ნებისმიერ განსხვავებას, გამონაკლისსა და შეზღუდვას, რომელიც გამიზნულია შეასუსტოს და გამორიცხოს ქალთა მიერ მათი ოჯახური მდგომარეობის მიუხედავად, მამაკაცთა და ქალთა თანასწორობის საფუძველზე, პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სოციალურ, კულტურულ, სამოქალაქო ან ნებისმიერ სხვა დარგში ადამიანის უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებების აღიარება, სარგებლობა ან განხორციელება."***

აღნიშნავენ, რომ გაერთიანებული ერების წესდება განამტკიცებს ადამიანის ძირითადი უფლებებისადმი მისი როგორც პიროვნების ღირსებისა და ღირებულებისადმი და მამაკაცისა და ქალის თანასწორუფლებიანობისადმი რწმენას, >>

**მუხლი** 7-9 – საუბარია იმ ზომების შესახებ, რომელიც მონაწილე სახელმწიფოებმა უნდა მიიღონ ქვეყნის პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში ქალთა დისკრიმინაციის აღსაკვეთად, კერძოდ, მამაკაცთა თანასწორად უზრუნველყოფენ ქალებს უფლებით, რათა ქალები მამაკაცთა თანაბარი პირობებით და დისკრიმინაციის გარეშე წარმოადგენდნენ თავიანთ მთავრობას საერთაშორისო დონეზე და მონაწილეობდნენ საერთაშორისო ორგანიზაციების მუშაობაში. მონაწილე სახელმწიფოები ქალებს ანიჭებენ მოქალაქეობის შეძენის, შეცვლისა და შენარჩუნების უფლებას.

**მუხლი** 10 - საუბარია მონაწილე სახელმწიფოების ვალდებულების შესახებ განათლების, დასაქმების, ჯანდაცვის, ეკონომიკის, საზოგადოებრივ და კულტურულ სფეროში დისკრიმინაციის აღმოფხვრაზე;

**მუხლი** 15-16 - მონაწილე სახელმწიფოები კანონის წინაშე აღიარებენ ქალის მამაკაცთან თანასწორობას, სამართლებრივი უფლებების განხორციელებას, ქორწინებასა და საოჯახო სამართალს;

**მუხლი** 17-24 - ითვალისწინებს ქალთა დისკრიმინაციის აღმოფხვრის საკითხებზე კომიტეტის ჩამოყალიბებასა და ფუნქციონირებას. ამ ნაწილში აღნიშნულია წევრი ქვეყნების ვალდებულება ანგარიშის მომზადებისა და წარდგენის შესახებ, დაზუსტებულია კომიტეტის სხდომის ჩატარების დრო და ადგილი.

**მუხლი** 25-30 - მოიცავს შეთანხმებაში მონაწილეობის შესახებ დებულებებს, კონვენციის გადასინჯვის პროცედურებს, გენერალური მდივნის დანიშვნისა და კონვენციის მართვის შესახებ დეტალურ ინფორმაციას.

**აღნიშნავენ,** რომ ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია განამტკიცებს დისკრიმინაციის დაუშვებლობის პრინციპს და აცხადებს, რომ ყველა ადამიანი იბადება თავისუფალი, თანასწორი ღირსებითა და უფლებებით, და უნდა ფლობდეს დეკლარაციით გამოცხადებულ ყველა უფლებასა და თავისუფლებას, ნებისმიერი, მათ შორის, სქესის ნიშნით განსხვავების მიუხედავად, >>

## 1.2 ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ კონვენციის (CEDAW) ფაკულტატური ოქმი

2000 წლის 22 დეკემბერს ძალაში შევიდა კონვენციის დამატებითი ოქმი, რომელიც მოიცავს ორ პროცედურას. ოქმი საშუალებას აძლევს კერძო პირებს, ან პირთა ჯგუფებს, მათი უფლებების დარღვევის შემთხვევაში სარჩელი შეიტანონ მონაწილე სახელმწიფოს წინააღმდეგ. დამატებითი ოქმი წარმოადგენს სარჩელის საფუძველზე კომპენსაციის მიღების მექანიზმს. გარდა ამისა, სერიოზული ან სისტემატური დარღვევის შემთხვევაში ითვალისწინებს გამოძიების პროცედურას.

დამატებითი ოქმი წარმოადგენს სამართლებრივ მექანიზმს, რომელშიც მოცემულია დამატებითი პროცედურები და ცალკეული საკითხის მოგვარების გზები. როგორც წესი, ოქმი ექვემდებარება რატიფიცირებას ან უერთდება იმ ქვეყნებს, რომლებიც შეთანხმების მონაწილენი არიან. ოქმი განისაზღვრება, როგორც „დამატებითი". სახელმწიფო არ არის ვალდებული გახდეს მისი მონაწილე, თუნდაც შესაბამის კონვენციასთან თანამშრომლობდეს ან მათ მიერ იყოს რატიფიცირებული.

## 1.3 ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ კონვენციის (CEDAW) რატიფიცირება

დღესდღეობით, 192-დან 186-მა მონაწილე ქვეყანამ მოახდინა ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ კონვენციის რატიფიცირება. კონვენციის რატიფიცირების შემდეგ ყველა სახელმწიფო ვალდებულია კომიტეტს მიაწოდოს ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ ანგარიში, რომელშიც აღწერილია კონვენციის მუხლების შესასრულებლად გასატარებელი ზომები.

შვიდმა ქვეყანამ (აშშ, ირანი, სუდანი, სომალი და წყნარი ოკეანის სახელმწიფოები: ნაურუ, პალაუ, ტონგა და ფიჯი) ხელი არ მოაწერა დოკუმენტის რატიფიცირებას.

მიუხედავად იმისა, რომ კონვენციას ჯერ კიდევ 1979 წელს მოაწერა ხელი ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა, ჯიმი კარტერმა, და ორჯერ დამტკიცდა საგარეო საქმეთა სენატის კომიტეტის მიერ, ამერიკის შეერთებულმა შტატებმა უარი თქვა დოკუმენტის რატიფიცირებაზე. ახლახან, ამერიკის შეერთებული შტატების სენატის კომიტეტებში განახლდა მოსმენა CEDAW–ს რატიფიცირების შესახებ. მოსმენის ინიცირება მოხდა 120 არასამთავრობო ორგანიზაციის მიერ, რომლებმაც ხელი მოაწერეს განცხადებას კონვენციის რატიფიცირების შესახებ.

## 1.4 ქალთა დისკრიმინაციის აღკვეთის კომიტეტი

ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ კონვენციის მე-17 მუხლში საუბარია ქალთა დისკრიმინაციის ლიკვიდაციის კომიტეტის დაარსების შესახებ. მისი მიზანია, კონვენციის განხორციელების მიმოხილვა. ექვსი ორგანოდან (გენერალური ასამბლეა, უშიშროების საბჭო, ეკონომიკური და სოციალური საბჭო, სამეურვეო საბჭო, საერთაშორისო სასამართლო, სამდივნო) ერთ-ერთი გაეროს ფარგლებში არსებული კონტროლის ორგანოა, რომელიც თვალ-ყურს ადევნებს ადამიანის უფლებების შესახებ ხელშეკრულებებს. კომიტეტი ფინანსდება გაეროს რეგულარული ბიუჯეტიდან. გაეროს გენერალური მდივანი გამოყოფს საჭირო პერსონალსა და მატერიალურ სახსარს კონვენციის შესაბამისად კომიტეტის ფუნქციათა ეფექტურად შესრულებისათვის.

კომიტეტი შედგება 23 ექსპერტისაგან, რომელთაც ირჩევენ მონაწილე სახელმწიფოები თავიანთ მოქალაქეებს შორის. „მათ ახასიათებთ მაღალი ზნეობრივი თვისებები და კომპეტენტურობა სფეროში, რომელსაც კონვენცია მოიცავს". ექსპერტებს მონაწილე სახელმწიფოები ირჩევენ 4 წლის ვადით და მოქმედებენ თავიანთი სახელით, ამასთან მხედველობაში მიიღება სამართლიანი გეოგრაფიული განაწილება და ძირითადი სამართლებრივი სისტემების წარმომადგენლობა. კომიტეტის წევრებს ირჩევენ ფარული კენჭისყრით მონაწილე სახელმწიფოთა მიერ წამოყენებულ პირთა სიიდან. ისინი მოქმედებენ როგორც დამოუკიდებელი ექსპერტები, და არა როგორც დელეგატები ან თავიანთი ქვეყნის წარმომადგენლები. 1982 წელს, პირველი სხდომის ჩატარებიდან, კომიტეტის წევრი სულ 97 ექსპერტი იყო.

აღნიშნავენ, რომ ადამიანის უფლებათა საერთაშორისო ხელშეკრულებების მონაწილე სახელმწიფოები ვალდებულნი არიან უზრუნველყონ მამაკაცისა და ქალის თანასწორობა ნებისმიერი ეკონომიკური, სოციალური, კულტურული, სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებებით სარგებლობისას, >>

## 1.5 ქალთა დისკრიმინაციის აღკვეთის კომიტეტის მუშაობა

კონვენციის მე-20 მუხლის პირველ პუნქტში განიხილება, რომ კომიტეტი ყოველწლიურად ატარებს სხდომებს, როგორც წესი, ორკვირიანი პერიოდის განმავლობაში, თუმცა, გენერალური ასამბლეის საბოლოო გადაწყვეტილებით კომიტეტის სხდომის დრო გაიზარდა. დღესდღეობით, კომიტეტი ყოველ წელს ატარებს ორ სხდომას (სესიას), რომელიც გრძელდება სამი კვირა, იანვარში, ივნისში ან ივლისში.

1991 წლიდან, ყოველი მომდევნო სხდომის წინ, იკრიბება წინასასესიო სამუშაო ჯგუფი, რომლის შემადგენლობაშიც შედის კომიტეტის ოთხი ან ხუთი წევრი.

სამუშაო ჯგუფის მიერ მომზადებული პრობლემებისა და შეკითხვების ნუსხა გადაეცემა იმ მონაწილე სახელმწიფოებს, რომლებმაც წინასწარ უნდა წარმოადგინონ ის წერილობითი სახით სამდივნოში, რათა ითარგმნოს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის

**მხედველობაში იღებენ**

**გაერთიანებული ერების და მისი სპეციალიზებული დაწესებულებების ეგიდით დადებულ საერთაშორისო კონვენციებს, რომლებიც ხელს უწყობს მამაკაცისა და ქალის თანასწორობის უფლებას, >>**

ოფიციალურ ენებზე და შემდეგ გადაეცეთ კომიტეტის წევრებს სხდომის დაწყებამდე, რომელზეც განიხილავენ შესაბამის მოხსენებებს.

2001 წლის იანვარში კომიტეტმა დაამტკიცა განახლებული საპროცედურო წესები, რომელიც მოიცავს ფაკულტატურულ ოქმთან დაკავშირებულ კომიტეტის მარეგულირებელ პროცედურების წესებს. ის ითვალისწინებს სამუშაო ჯგუფის შექმნასა და მომხსენებლების დანიშვნას, რათა ხელი შეუწყონ კომიტეტს პროტოკოლით გათვალისწინებული ფუნქციების, მათ შორის, წევრი სახელმწიფოებისათვის მოთხოვნილი საკითხების, დროებითი ღონისძიებებისა და შეტყობინების მიღების შესრულებაში.

*CEDAW კონვენციის განხორციელებისათვის მიძღვნილი კონფერენცია*
*თბილისი, 2010 წელი*



# ნაწილი II

# CEDAW-ს ანგარიშის მზადებისა და წარდგენის პროცედურა

## 2.1 მონაწილე სახელმწიფოების ვალდებულებები

კონვენციის მე-18 მუხლი ავალდებულებს მონაწილე სახელმწიფოებს წარუდგინონ კომიტეტს მოხსენებები კონვენციის ძალაში შესვლიდან ერთი წლის განმავლობაში. ამის შემდეგ, პერიოდული ანგარიშის წარდგენა ხდება ყოველ ოთხ წელიწადში ერთხელ, და შემდგომში, როდესაც ამას კომიტეტი მოითხოვს.

მოხსენებაში უნდა მიეთითოს თუ რა საკანონმდებლო, სასამართლო, ადმინისტრაციული ან სხვა ზომები იქნა მიღებული კონვენციის დებულებათა შესასრულებლად და აღიწეროს მიღწეული პროგრესი. მოხსენებაში ასევე უნდა მიეთითოს იმ ფაქტორებისა და სიძნელეების შესახებ, რომლებმაც გავლენა მოახდინა წინამდებარე კონვენციით ნაკისრ ვალდებულებათა შესრულების ხარისხზე.

> ითვალისწინებენ,
> აგრეთვე, მამაკაცისა
> და ქალის
> თანასწორუფლებიანობის
> ხელშეწყობის მიზნით,
> გაერთიანებული ერებისა
> და მისი სპეციალიზებული
> დაწესებულებების მიერ
> მიღებულ რეზოლუციებს,
> დეკლარაციებსა და
> რეკომენდაციებს,
> შეშფოთებულნი არიან,
> რომ სხვადასხვა
> დოკუმენტის
> არსებობის მიუხედავად,
> ქალთა მზარდი
> დისკრიმინაცია
> გრძელდება, >>

## 2.2 CEDAW-ს ანგარიშის წარდგენის მიზანი

ანგარიშის წარდგენის ძირითადი მიზანია ხელი შეუწყოს მონაწილე სახელმწიფოს კონვენციით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებაში. მონაწილე სახელმწიფოებს ანგარიშის მომზადების პროცესი შესაძლებლობას აძლევს დააზუსტონ კონვენციით გათვალისწინებული ვალდებულებები, კრიტიკულად შეაფასონ ქალთა არსებული მდგომარეობა და მოახდინონ რეფორმის ჩასატარებელი სფეროების იდენტიფიცირება რათა უზრუნველყოს კონვენციით გათვალისწინებული საკითხების სრული შესრულება.

ანგარიშის განხილვის შემდეგ კომიტეტი აწარმოებს დიალოგს მონაწილე სახელმწიფოებს, მიუკერძოებელ ჯგუფებსა და გამოცდილ ექსპერტებს შორის, მათთან ერთად შეისწავლის იმ სფეროებს, რომელიც შემდგომ აქტიურ მუშაობას მოითხოვს და შეიტანს რეკომენდაციებს შემდგომი მუშაობის სრულყოფისათვის.

**შეახსენებენ,**
რომ ქალის დისკრიმინაცია არღვევს თანასწორუფლებიანობისა და ადამიანური ღირსების პატივისცემის პრინციპებს, ხელს უშლის მამაკაცის თანაბრად ქალის მონაწილეობას ქვეყნის პოლიტიკურ, სოციალურ, ეკონომიკურ და კულტურულ ცხოვრებაში; აბრკოლებს საზოგადოებისა და ოჯახის კეთილდღეობის ზრდას და ართულებს ქალის შესაძლებლობათა სრულად გამოვლენას მისი ქვეყნისა და კაცობრიობის საკეთილდღეოდ, >>

განხილვის პროცედურა, ასევე, იძლევა გამოცდილების გამოვლენის შესაძლებლობას, რომელიც შეიძლება გამოყენებულ იქნას სხვა სახელმწიფოების მიერ, რათა განახორციელონ კონვენციის დებულებანი.

**ანგარიშის წარდგენა:**

1. საშუალებას გვაძლევს ჩატარდეს ეროვნული კანონმდებლობის ადმინისტრაციული წესების, პრაქტიკისა და პროცედურების სრული მიმოხილვა;
2. უზრუნველყოფს მონაწილე სახელმწიფოების მიერ რეგულარულ კონტროლს კონვენციის ყოველი დებულების ფაქტობრივი მდგომარეობის შესაბამისად;
3. საფუძველს აძლევს მონაწილე სახელმწიფოებს შეიმუშავონ მკაფიოდ ფორმირებული და მიზანმიმართული პოლიტიკა კონვენციის დებულებებთან მიმართებაში პრიორიტეტების გათვალისწინებით, რათა დაჩქარდეს მამაკაცთა და ქალთა შორის იურიდიული და ფაქტობრივი თანასწორობის მიღწევა;
4. უზრუნველყოფს სახელმწიფო პოლიტიკის საზოგადოებრივი შესწავლის საფუძველს და ხელს უწყობს სხვადასხვა სექტორის მონაწილეობის წახალისებას, მათ შორის, სამოქალაქო საზოგადოების ჩართვას ამ პოლიტიკის ფორმულირებასა და განხილვაში;
5. გვაძლევს საბაზისო მონაცემებს, რომლის საფუძველზეც მონაწილე სახელმწიფო და კომიტეტი შეძლებს შეაფასოს ვალდებულებების შესრულებისას მიღწეული პროგრესის დონე კომიტეტის შესაბამისად;
6. საშუალებას აძლევს მონაწილე სახელმწიფოებს უკეთესად გააანალიზონ კონვენციის შესრულების შემაფერხებელი ფაქტორები და სიძნელეები;
7. საშუალებას აძლევს კომიტეტს და ყველა მონაწილე სახელმწიფოს გაცვალონ ინფორმაცია, უკეთ გაიგონ სახელმწიფოს წინაშე მდგარი საერთო პრობლემები და უფრო სრულყოფილად შეაფასონ კონვენციის ვალდებულებების ეფექტური განხორციელებისათვის მიღებული ზომები. ასევე განსაზღვრონ ყველაზე ხელსაყრელი გზა, რომლის დახმარებითაც საერთაშორისო თანამეგობრობა ხელს შეუწყობს როგორც ცალკეულ მონაწილე სახელმწიფოს, ისე, მთლიანად, მონაწილე  ქვეყნებს კონვენციის შესრულებაში.

## 2.3 CEDAW-ს კონვენციის შესრულების შესახებ ანგარიშის მომზადება

იმისათვის, რომ შემცირდეს მოხსენებების განხილვის პროცესთან დაკავშირებული დამატებითი ინფორმაციის წარდგენის მოთხოვნა და ყველა მონაწილე სახელმწიფოსთვის უზრუნველყოფილ იქნას ერთნაირი მიდგომა ადამიანის უფლებების სფეროში მდგომარეობის შეფასების კუთხით, კომიტეტმა მიიღო მოხსენების მომზადების სახელმძღვანელო პრინციპები, რომელიც გამოიყენება 2002 წლის 31 დეკემბრიდან წარდგენილ ყველა საწყის და მომდევნო პერიოდულ მოხსენებაზე.

**სახელმძღვანელო პრინციპები ითვალისწინებს, რომ:**

- ანგარიშის მომზადებისას აუცილებელია კონვენციის ყველა მუხლისა და კომიტეტის საერთო რეკომენდაციების გათვალისწინება;
- სავალდებულოა მონაწილე სახელმწიფოს მიერ შესრულებული კონვენციის მუხლით გათვალისწინებული ყველა დათქმისა თუ განცხადების შესახებ დაწვრილებითი ინფორმაციის მიწოდება;
- საჭიროა ყველა იმ ფაქტორისა და სირთულის ახსნა, რომელიც მოქმედებს კონვენციით გათვალისწინებული დებულებების შესრულების ხარისხზე და მისი აღმოფხვრისათვის გატარებული ზომების შესახებ ინფორმაციის მიწოდება;
- უნდა მოიცავდეს საკმარის მონაცემებს და სტატისტიკურ ინფორმაციას სქესის ნიშნით, რაც კომიტეტს გაუადვილებს შეაფასოს კონვენციის შესრულება.

შეშფოთებული არიან, რომ სიღარიბის პირობებში ქალებისათვის ნაკლებად ხელმისაწვდომია სურსათი, ჯანმრთელობის დაცვის საშუალებები, განათლება, პროფესიული მომზადება და დასაქმება, აგრეთვე სხვა მოთხოვნილებები, >>

დარწმუნებული არიან, რომ თანასწორობასა და სამართლიანობაზე დაფუძნებული ახალი საერთაშორისო ეკონომიკური წესრიგის დამყარება მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს მამაკაცისა და ქალის თანაბარუფლებიანობის განვითარებას, >>

## 2.4 CEDAW-ს კონვენციის შესრულების მომდევნო პერიოდული ანგარიშები

მონაწილე სახელმწიფოების მომდევნო პერიოდული ანგარიშები, როგორც წესი, უნდა მოიცავდეს ამ სახელმწიფოების წინა ანგარიშების განხილვის პერიოდს მიმდინარე ანგარიშის წარდგენამდე.

**ამგვარი მოხსენებების მომზადებას ორი საყრდენი წერტილი აქვს:**

- დასკვნითი შენიშვნები („სფეროების პრობლემატიკა" და „რეკომენდაციები") წინა ანგარიშის შესახებ;
- მონაწილე სახელმწიფოების მიერ კონვენციის განხორციელებისას მიღწეული შედეგების მიმოხილვა და ამ ეტაპზე მისი ტერიტორიის ან მისი იურისდიქციის ფარგლებში განხორციელებასთან დაკავშირებული ინფორმაცია, ასევე, თუ რამ-

დენად ფართოდ გამოიყენებენ ამ დებულებებს პირები, რომლებიც იმყოფებიან მის ტერიტორიაზე, ან მისი იურისდიქციის ქვეშ.

სტრუქტურულად, პერიოდული ანგარიში უნდა მიჰყვებოდეს კონვენციის მუხლებს. თუკი რომელიმე მუხლში არ არის ახალი ცნობა, რომელიც იმსახურებს მოხსენებაში ჩართვას, აუცილებელია ამის მითითება. პერიოდულ ანგარიშში განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ყველა დანარჩენ დაბრკოლებას, მამაკაცებთან ერთად ქალების თანასწორ მონაწილეობას სახელმწიფოს კულტურულ, ეკონომიკურ, სოციალურ და პოლიტიკურ ცხოვრებაში.

ხაზს უსვამენ, რომ აპარტეიდის, რასიზმის ყველა ფორმის, რასობრივი დისკრიმინაციის, კოლონიალიზმის, ნეოკოლონიალიზმის, აგრესიის, უცხო სახელმწიფოს მიერ ოკუპაციისა და ბატონობის, სახელმწიფოთა საშინაო საქმეებში ჩარევის აღმოფხვრა აუცილებელია მამაკაცისა და ქალის უფლებებით სრული სარგებლობისათვის, >>

მონაწილე სახელმწიფოებმა უნდა იხელმძღვანელონ პირველადი ანგარიშების პრინციპითა და დანართებით, ვინაიდან, მათ შეუძლიათ გაავრცელონ და შეადგინონ პერიოდული ანგარიშები.

**გარკვეულ შემთხვევაში, შესაძლებელია გაშუქდეს შემდეგი მომენტები:**

- მონაწილე სახელმწიფოების მიერ პოლიტიკურ და იურიდიულ სფეროში განხორციელებული რადიკალური ცვლილებები, რომლებმაც ზეგავლენა მოახდინეს კონვენციის განხორციელებაზე: ამ შემთხვევაში საჭირო იქნება სრული, თემატურად დაყოფილი ანგარიშის წარმოდგენა;
- ახალი კანონპროექტების ან ადმინისტრაციული ზომების მიღება, რაც მოითხოვს ახალ განცხადებებს, სასამართლო ან სხვა გადაწყვეტილებებს.

ანგარიშის მომზადების სახელმძღვანელო პრინციპები მოითხოვს, რომ მონაწილე სახელმწიფოებმა, რომელნიც ამავდროულად დამატებითი ოქმის მონაწილენი არიან, კომიტეტს მიაწოდონ ინფორმაცია მიღებული ზომების შესახებ. თუკი კომიტეტმა განცხადების საპასუხოდ, რომელიც ეხება მონაწილე სახელმწიფოს, გამოავლინა რაიმე დარღვევა ან მე-8 მუხლის დამატებითი ოქმის თანახმად ჩაატარა გამოძიება.

სავარაუდოდ, მონაწილე სახელმწიფოებმა თავიანთ ანგარიშში უნდა ჩართონ ინფორმაცია პეკინის დეკლარაციისა და 1995 წლის სამოქმედო პლატფორმის განხორციელების შესახებ. ანგარიშები უნდა მოიცავდეს, ასევე, გენდერულ საკითხთან დაკავშირებული დებულებების განხორციელების შესახებ ინფორმაციას, გაეროს სხვა გლობალური კონფერენციებისა და მაღალი დონის შეხვედრების შედეგების შესახებ დოკუმენტებს, რომელიც ეხება კონვენციის კონკრეტულ მუხლებს.

## 2.5 CEDAW-ს კომიტეტის მიერ ანგარიშების განხილვა

კომიტეტი ყოველი სხდომისთვის ირჩევს მონაწილე სახელმწიფოების ანგარიშებს, რომელსაც განიხილავს შემდგომ სამ სხდომაზე. კომიტეტი სთხოვს მონაწილე სახელმწიფოს დაადასტუროს იმ სხდომაზე დასწრება, რომელზედაც უნდა განიხილონ ანგარიში. თუ რომელიმე მონაწილე სახელმწიფო უარზეა დაესწროს კომიტეტის სხდომას, მაშინ მოწვევა ეგზავნება სხვა მონაწილე სახელმწიფოს.

კომიტეტის მიერ პროცედურული წესების გათვალისწინებით, თუ რომელიმე მონაწილე სახელმწიფო ორჯერ არ დაადასტურებს სხდომაზე დასწრებას, კომიტეტი ანგარიშს განიხილავს მისი წარმომადგენლის გარეშე. თუმცა, დღემდე, კომიტეტს არ განუხილავს მონაწილე სახელმწიფოს დელეგაციის გარეშე არცერთი ანგარიში.

მონაწილე სახელმწიფოების ანგარიშის განხილვა მიმდინარეობს კომიტეტის ღია სხდომაზე, რომელშიც მონაწილეობას იღებენ ანგარიშის წარმდგენი სახელმწიფოები.

ანგარიშის განხილვის შემდეგ, კომიტეტს გამოაქვს დასკვნითი შენიშვნები, რომლებსაც ადგენს და ამტკიცებს დახურულ სხდომაზე. ამ შენიშვნებში გადმოცემულია სირთულეები, უარყოფითი ფაქტორები, რომლებიც გავლენას ახდენენ შესაბამის სახელმწიფოებზე კონვენციის დებულებების განხორციელებისას; პოზიტიური ასპექტები; ძირითადი საკითხები, რომლებიც იწვევს შეშფოთებას; წინადადებები და რეკომენდაციები, რომლებიც მიმართულია კონვენციის დებულებების ეფექტურად განხორციელებისათვის.

დასკვნითი შენიშვნები ასახავს კომიტეტის საერთო ხედვას ანგარიშის წარმდგენი სახელმწიფოს პოზიციაზე. დამტკიცების შემდეგ შენიშვნები ეგზავნება მონაწილე სახელმწიფოს. მონაწილე სახელმწიფოებისათვის ეს არის ინფორმაციის წყარო, რათა მომავალში განსაზღვრონ ეროვნული პოლიტიკა, აწარმოონ დაკვირვება სხვა დაინტერესებული მხარეებისათვის, როგორიცაა: პარლამენტის დეპუტატები, არასამთავრობო ორგანიზაციებისა და სამოქალაქო საზოგადოების სხვა წევრები.

აღასტურებენ, რომ საერთაშორისო მშვიდობისა და უშიშროების განმტკიცება, საერთაშორისო დაძაბულობის შენელება, სახელმწიფოთა შორის თანამშრომლობა მათი სოციალური და ეკონომიკური სისტემების მიუხედავად, საყოველთაო და სრული განიარაღება, განსაკუთრებით მკაცრი და ეფექტური საერთაშორისო კონტროლს დაქვემდებარებული ბირთვული განიარაღება, ქვეყნებს შორის ურთიერთობაში სამართლიანობის, თანასწორობისა და ურთიერთსარგებლობის პრინციპების დამკვიდრება და უცხოეთისა და კოლონიური ბატონობის, უცხოური ოკუპაციის ქვეშ მყოფი ხალხების თვითგამორკვევისა და დამოუკიდებლობის უფლების განხორციელება, აგრეთვე, ეროვნული სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის პატივისცემა ბიძგს მისცემს სოციალურ პროგრესსა და განვითარებას, რაც, თავის მხრივ, ხელს შეუწყობს მამაკაცსა და ქალს შორის სრული თანასწორობის მიღწევას, >>

## 2.6 CEDAW-ს ალტერნატიული ანგარიში

> დარწმუნებული არიან, რომ ქვეყნის სრული განვითარება, მსოფლიოს კეთილდღეობა და მშვიდობა მოითხოვს ყველა სფეროში ქალის მაქსიმალურ მონაწილეობას მამაკაცის თანასწორად, >>

სახელმწიფოს ოფიციალური ანგარიშის გარდა კომიტეტი განიხილავს არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ წარდგენილ ალტერნატიულ ანგარიშებს. მიუხედავად იმისა, რომ პროცედურების შესაბამისად, არასამთავრობო ორგანიზაციებს არ აქვთ ამ ანგარიშების წარდგენის ოფიციალური სტატუსი, კომიტეტი დიდ მნიშვნელობას ანიჭებს მათ მიერ ინფორმაციის მიწოდებას. ამასთანავე, როგორც ამას საპროცედურო წესები ითვალისწინებს, კომიტეტი არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებს სთავაზობს მიაწოდონ ინფორმაცია წერილობით, ან სიტყვიერად.

ანგარიშების წარდგენის შემდეგ სხდომა იწყება ჟენევაში ან ნიუ-იორკში. სხდომაზე კომიტეტი არასამთავრობო ორგანიზაციებისგან მოისმენს მოკლე საინფორმაციო პრეზენტაციებს. არასამთავრობო ორგანიზაციებს შეუძლიათ მოაწყონ ,,ლანჩ-ბრიფინგი" (არაოფიციალური შეხვედრები), კომიტეტთან), რომელზეც საშუალება მიეცემათ ზედმიწევნით ისაუბრონ პრობლემების შესახებ და კომიტეტის წევრების ყურადღება მიაპყრონ ამა თუ იმ სპეციფიკურ საკითხებს. არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები კომიტეტს წარუდგენენ მთელ რიგ დოკუმენტებს (კითხვებს ოფიციალური დელეგაციისთვის, ფორმულირებებს დასკვნითი შენიშვნებისათვის, კომენტარებს ოფიციალური დელეგაციის პასუხის საფუძველზე და ა.შ.), შემდეგ მოისმენენ სახელმწიფო დელეგაციის ოფიციალურ ანგარიშს. კომიტეტი გასცემს მონაწილე სახელმწიფოებისათვის დასკვნით რეკომენდაციებს, რის საფუძველზეც სახელმწიფო იქნება ანგარიშვალდებული მომავალში.

CEDAW-ს ალტერნატიული ანგარიშის ძირითადი მიზანია სახელმწიფო ანგარიშში ახალი მასალის დამატება გენდერული თანასწორობის ხელშესაწყობად; აქტუალური პრობლემების შესაბამისად მამაკაცთა და ქალთა თანასწორობის, არასამთავრობო ორგანიზაციების შესაძლებლობებისა და სახელმწიფოსთან დიალოგის განვითარება; არასამთავრობო ორგანიზაციების წინადადებებისა და რეკომენდაციების შემუშავება, რომელიც ეხება სახელმწიფოს გენდერული პოლიტიკის განვითარებასა და განხორციელებას, ქალთა უფლებების დაცვის ბარიერების გადალახვის კონკრეტულ ზომებს.

# ნაწილი III

## კონვენცია ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ: ისტორია და რეალობა

1994 წლის 22 სექტემბერს საქართველო მიუერთდა კონვენციას ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღკვეთის შესახებ. ამ დოკუმენტის რატიფიცირების შემდეგ, საქართველომ, 2002 წელს ხელი მოაწერა კონვენციის დამატებით ოქმს, ხოლო 2005 წელს დაეთანხმა კონვენციის მე-20 მუხლის 1 პუნქტს სადაც აღნიშნულია, რომ კომიტეტი ყოველწლიურად იკრიბება არა უმეტეს 2 კვირის განმავლობაში ამ კონვენციის XVIII მუხლის შესაბამისად წარმოდგენილ მოხსენებათა განსახილველად.

1998 წლის თებერვალში ქვეყანამ წარადგინა პირველადი ანგარიში,[1] რომელიც კომიტეტმა 21-ე სხდომაზე, 1999 წლის 8-11 ივნისს განიხილა. საქართველომ პოზიტიურ შეფასებასთან ერთად, CEDAW-ს განხორციელებისათვის მიიღო კომიტეტის მიერ შემუშავებული დასკვნითი კომენტარები და რეკომენდაციები.

ეროვნული ანგარიშების პარალელურად, 1998 წელს, საქართველოს ქალთა არასამთავრობო ორგანიზაციებმა კომიტეტში წარადგინეს პირველი ალტერნატიული ანგარიში.

ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის კომიტეტმა, 2006 წლის 7-25 აგვისტოს, 36-ე სხდომაზე, ერთად განიხილა საქართველოს მიერ წარდგენილი მეორე და მესამე პერიოდული მოხსენება კომიტეტის 747-ე და 748-ე შეხვედრაზე. კომიტეტის მიერ შედგენილი განსახილველი საკითხების და შეკითხვების სია აისახა CEDAW/C/GEO/3-ში, ხოლო საქართველოს პასუხები – CEDAW/C/GEO/Q/Add.1.-ში. მეორე და მესამე ალტერნატიული ანგარიშები წარადგინეს საქართველოს ქალთა არასამთავრობო ორგანიზაციებმაც.

იმ რეკომენდაციებისა და კომენტარების შესაბამისად, რომლებიც საქართველომ მიიღო გაერთიანებული მეორე და მესამე ანგარიშების განხილვის შემდეგ, CEDAW-ს კომიტეტმა, მონაწილე სახელმწიფოს შესთავაზა წარადგინოს გაერთიანებული მეოთხე და მეხუთე პერიოდული და ალტერნატიული ანგარიში 2011 წლის ნოემბერში.

**ითვალისწინებენ**
ოჯახის კეთილდღეობისა და საზოგადოების განვითარების საქმეში ქალის განუზომელ წვლილს, რომელსაც დღემდე არ მოეპყრობია სრული აღიარება, ოჯახსა და ბავშვის აღზრდაში დედობის ფუნქციისა და ორივე მშობლის როლის სოციალურ მნიშვნელობას, ასევე, გაცნობიერებული აქვთ, რომ ქალის როლი შთამომავლობის გაგრძელებაში არ უნდა იყოს მისი დისკრიმინაციის საფუძველი, ვინაიდან ბავშვის აღზრდა მოითხოვს მამაკაცსა და ქალს, აგრეთვე მთლიანად საზოგადოებას შორის პასუხისმგებლობის განაწილებას, >>

1. იხ: CEDAW/C/GEO/1/Add.1/Corr.1

# ნაწილი IV

## ძირითადი რეკომენდაციები, რომელიც მიეცა საქართველოს CEDAW-ს შესახებ მეორე და მესამე ანგარიშის წარდგენის შემდეგ

2006 წელს, საქართველოს მიერ CEDAW-ს კომიტეტისთვის წარდგენილი მეორე და მესამე ანგარიშის განხილვის შემდეგ, კომიტეტმა გასცა მთელი რიგი რეკომენდაციები, რომლის საფუძველზეც გამოიკვეთა პრიორიტეტები მონაწილე სახელმწიფოებისათვის შემდეგი პერიოდული ანგარიშის წარსადგენად.

**აღიარებენ**, რომ მამაკაცისა და ქალის სრული თანასწორობის მისაღწევად საჭიროა საზოგადოებასა და ოჯახში როგორც მამაკაცის, ისე ქალის ტრადიციული როლის შეცვლა, მზად არიან განახორციელონ ქალის დისკრიმინაციის ლიკვიდაციის შესახებ დეკლარაციით გამოცხადებული პრინციპები და ამ მიზნით, მიიღონ ასეთი დისკრიმინაციის ყველა ფორმისა და გამოვლინების აღმოსაფხვრელად საჭირო ზომები.

### 4.1 სფეროები, რომელიც იწვევს შეშფოთებას და CEDAW-ს კომიტეტის მიერ გაცემული რეკომენდაციები

მონაწილე სახელმწიფომ (საქართველო) წარადგინა არასაკმარისი სტატისტიკური მონაცემები, რომელიც კლასიფიცირებული იყო სქესის, ეთნიკური, ასაკობრივი, ქალაქსა და სოფლად მცხოვრებთა ნიშნით. სტატისტიკური ინფორმაციის სიმცირე ართულებს პროგრესისა და არსებული ტენდენციების შეფასებას დროის გარკვეულ მონაკვეთში ქალების მდგომარეობის გაუმჯობესების მხრივ. კონვენციის დებულებების ეფექტური განხორციელების მიზნით კომიტეტი მონაწილე სახელმწიფოებს მოუწოდებს გამოიყენონ ეს მონაცემები და მაჩვენებლები კანონის შემუშავებისას, პოლიტიკასა და პროგრამებში.

ამასთან დაკავშირებით, **კომიტეტი მოითხოვს** მონაწილე სახელმწიფოსგან მის მომდევნო პერიოდულ ანგარიშში ასახოს აღნიშნული სტატისტიკური მონაცემები და ანალიზი. (პარაგრაფი 9,10)

მონაწილე სახელმწიფოს აკლია იმ პოლიტიკის განმსაზღვრელი მიმართულებებისა და პროგრამებისადმი მრავალმხრივი მიდგომა, რომელიც მიზნად ისახავს გენდერული თანასწორობის მიღწევას და ქალთა მიმართ პირდაპირი და არაპირდაპირი დისკრიმინაციის აღმოფხვრას. (პარაგრაფი 11)

**კომიტეტი შეშფოთებულია**, რომ მოსამართლეები, ადვოკატები, პროკურორები და თავად ქალები, არ ფლობენ სრულყოფილ ინფორმაციას კონვენციის ნორმების, ფაკულტატური ოქმისა და

კომიტეტის ზოგადი რეკომენდაციების შესახებ. აღნიშნულზე მიუთითებს ის გარემოებაც, რომ არ არსებობს კონვენციაზე დაყრდნობით გამოტანილი არცერთი სასამართლო გადაწყვეტილება. (პარაგრაფი 13)

**კომიტეტი მონაწილე სახელმწიფოს მოუწოდებს** მიიღოს დამატებითი ზომები კონვენციის, ფაკულტატურული ოქმით გათვალისწინებული პროცედურებისა და კომიტეტის ზოგადი რეკომენდაციების პოპულარიზაციის მიზნით პროკურორების, მოსამართლეების, ადამიანის უფლებათა დამცველებისა და ადვოკატებისათვის დანერგოს სასწავლო პროგრამები კონვენციასა და ფაკულტატურული ოქმის შესახებ. ასევე, კომიტეტი მოუწოდებს ქალებისათვის (მათ შორის სოფლად მცხოვრებ ქალთათვის) და ქალთა საკითხებზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციებისათვის ჩატარდეს შემეცნებითი კამპანიები და სამართლებრივი ხასიათის ტრენინგები, რაც წაახალისებს და გააღრმავებს მათ ცოდნას კონვენციით გათვალისწინებული უფლებებისა და უფლებათა დაცვის მექანიზმების შესახებ. (პარაგრაფი 14)

**კომიტეტი აღნიშნავს** პარლამენტის თავმჯდომარესთან არსებული გენდერული თანასწორობის მრჩეველთა საბჭოს და გენდერული თანასწორობის სამთავრობო კომისიის შექმნის ფაქტს. შეშფოთებას გამოხატავს ქალთა საკითხებზე მომუშავე მუდმივმოქმედი, ინსტიტუციურად მდგრადი შიდასახელმწიფოებრივი ორგანოს არარსებობის გამო, რომელსაც შეეძლება გადაწყვეტილებების მიღება, აღჭურვილი იქნება საჭირო ფინანსური და ადამიანური რესურსებით, რომლის მიზანიც იქნება ქალთა წინსვლის ხელშეწყობა და გენდერული თანასწორობის მიღწევა. კომიტეტი შეშფოთებულია იმის გამოც, რომ დღეისათვის არსებული მექანიზმები არ მოიცავენ საკმარის რესურსებსა და უფლებამოსილებას, რათა კოორდინაცია გაუწიონ მთავრობის საქმიანობას გენდერული თანასწორობის ხელშეწყობისა და კონვენციის სრული განხორციელების პროცესში. (პარაგრაფი 15)

**კომიტეტი მოუწოდებს** მონაწილე სახელმწიფოს შექმნას მუდმივმოქმედი ინსტიტუციური მექანიზმი, რომელიც პასუხისმგებელი იქნება ქალთა და მამაკაცთა თანასწორობის ხელშეწყობასა და განხორციელების მონიტორინგზე. კომიტეტი მოუწოდებს სახელმწიფო მხარეს აღნიშნული სტრუქტურა აღჭურვოს მაღალი პოლიტიკური უფლებამოსილებით და საჭირო ფინანსური და ადამიანური რესურსებით.[2] (პარაგრაფი 16)

**კომიტეტი აღნიშნავს** მონაწილე სახელმწიფოს ძალისხმევას აღმოეფხვრა გენდერული სტერეოტიპები დაწყებითი კლასების სასკოლო სახელმძღვანელოებიდან. ამასთანავე, კომიტეტი შეშფოთებულია საქართველოს მოსახლეობაში გავრცელებული პატრიარქალური განწყობებისა და ღრმად გამჯდარი სტერეოტიპების

## მუხლი 1

ამ კონვენციის მიზნებისათვის ტერმინი "ქალის დისკრიმინაცია" ნიშნავს სქესის ნიშნით ნებისმიერ განსხვავებას, გამიჯვნას ან შეზღუდვას, რომელმაც შესაძლებელია შედეგად მოიტანოს ან რომლის მიზანია ქალის მიერ, მისი ოჯახური მდგომარეობის მიუხედავად, მამაკაცისა და ქალის თანასწორობის საფუძველზე, პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური, კულტურული, სამოქალაქო ან ნებისმიერ სხვა სფეროში ადამიანის უფლებებისა და ძირითად თავისუფლებათა აღიარების, სარგებლობის ან გამოყენების შესაძლებლობის შესუსტება, ან სრული უარყოფა.

*2. ამ პუნქტის მიხედვით ხელისუფლებამ კომიტეტის რეკომენდაცია შეასრულა.*

## მუხლი 2

მონაწილე სახელმწიფოები გმობენ ქალის დისკრიმინაციის ნებისმიერ გამოვლინებას, თანახმა არიან ყველა შესატყვისი საშუალებით, დაუყოვნებლივ განახორციელონ ქალის დისკრიმინაციის ლიკვიდაციის პოლიტიკა და ამ მიზნით, კისრულობენ ვალდებულებას:

ა) შეიტანონ მამაკაცისა და ქალის თანასწორუფლებიანობის პრინციპი თავიანთ კონსტიტუციებში ან შესაბამის საკანონმდებლო აქტებში, თუ ეს აქამდე არ გაუკეთებიათ, და უზრუნველყონ კანონითა და სხვა შესატყვისი საშუალებებით ამ პრინციპის პრაქტიკული განხორციელება;

ბ) მიიღონ, სადაც ეს აუცილებელია, ქალის ყოველგვარი დისკრიმინაციის ამკრძალავი შესაბამისი საკანონმდებლო და სხვა ზომები, სანქციების ჩათვლით;

გ) დააწესონ ქალის უფლებების სამართლებრივი დაცვა მამაკაცთან თანასწორ საფუძველზე და კომპეტენტური ეროვნული სასამართლოებისა და სხვა სახელმწიფო დაწესებულებების მეშვეობით უზრუნველყონ დისკრიმინაციის ნებისმიერი აქტისაგან

ქალის ეფექტური დაცვა; >>

არსებობით, რომლებიც ეხება ქალისა და მამაკაცის როლებსა და პასუხისმგებლობას ოჯახსა და საზოგადოებაში. ზემოთაღნიშნული ზღუდავს ქალის არჩევანს განათლების მიღებისას, მის მდგომარეობას დასაქმების ბაზარზე და მონაწილეობას პოლიტიკურ და საჯარო საქმიანობაში. კომიტეტი ასევე შეშფოთებულია იმ გარემოებით, რომ გოგონები და ქალები საშუალო სკოლებსა და უნივერსიტეტებში კვლავ ირჩევენ იმ სასწავლო დარგებს, რომლებიც ტრადიციულად „ქალებისათვის განკუთვნილ სფეროდ" მიიჩნევა. (პარაგრაფი 17)

**კომიტეტი მოუწოდებს** მონაწილე სახელმწიფოს გააგრძელოს ძალისხმევა გენდერული სტერეოტიპების აღმოფხვრის მიზნით და გააძლიეროს გენდერული თანასწორობის კომპონენტი სასწავლო პროგრამებსა და სახელმძღვანელოებში. ასევე სთხოვს სახელმწიფო მხარეს მასწავლებლების პროფესიონალურ მომზადებას გენდერული თანასწორობის საკითხებში.

**კომიტეტი მოუწოდებს** მონაწილე სახელმწიფოს განახორციელოს საგანმანათლებლო სისტემის პროგრამები ქალებისა და მამაკაცებისათვის, გაავრცელოს ინფორმაცია ქალის პოზიტიური სახის, ასევე, კერძო და საჯარო სექტორში ქალისა და მამაკაცის თანასწორუფლებიანობისა და პასუხისმგებლობის წარმოსაჩენად. ხელი შეუწყოს ვაჟებისა და გოგონებისათვის საგანმანათლებლო არჩევანის დივერსიფიკაციას. გამართოს საჯარო დიალოგი გოგონებისა და ქალების მიერ გაკეთებული სასწავლო არჩევანისა და შრომის ბაზარზე მათი შემდგომი დასაქმების შესაძლებლობების შესახებ. (პარაგრაფი 18)

**კომიტეტი აღნიშნავს** „ოჯახში ძალადობის აღმოფხვრის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ" კანონის მიღების პოზიტიურობას. ამასთანავე, კომიტეტი შეშფოთებულია საქართველოში ქალთა მიმართ ძალადობის, განსაკუთრებით ოჯახში ძალადობის ფაქტების სიმრავლითა და საზოგადოების მხრიდან მსგავსი ძალადობის შესაძლო აღქმით „პირად საქმედ"; ასევე, ოჯახში ძალადობის შესახებ ინფორმაციისა და სტატისტიკის სიმცირისა და კანონით გათვალისწინებული ზოგიერთი ასპექტის, კერძოდ, დაზარალებულთათვის თავშესაფრებისა და სარეაბილიტაციო ცენტრების შექმნის გადავადების გამო. კომიტეტი აღნიშნავს, რომ მეუღლის მიერ გაუპატიურება ჯერ კიდევ არ იქნა გათვალისწინებული საკანონმდებლო კანონპროექტში. (პარაგრაფი 19)

**კომიტეტი მოუწოდებს** მონაწილე სახელმწიფოს პრიორიტეტი მიანიჭოს ოჯახში ძალადობის აღმოფხვრის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ კანონის განხორციელებას, პოპულარიზაციას საჯარო მოხელეთა შორის და ფართო საზოგადოებაში. კომიტეტი, ასევე, მოუწოდებს სახელმწიფოს დაასრულოს მუშაობა ოჯახში ძალადობის დაძლევის სრულყოფილი სახელმწიფო გეგმის შემუშავებაზე და უზრუნველყოს მისი განხორციელება.

**კომიტეტი, ასევე, მოუწოდებს** მონაწილე სახელმწიფოს უზრუნველყოს ოჯახში ძალადობის მსხვერპლი ქალები (მათ შორის სოფლად მცხოვრები ქალები) დაცვით, დაცვის შესახებ ბრძანებით, საკმარისი რაოდენობის უსაფრთხო თავშესაფრითა და სამართლებრივი დახმარებით.

**კომიტეტი მოუწოდებს** მონაწილე სახელმწიფოს უზრუნველყოს საჯარო მოხელეთა, განსაკუთრებით სამართალდამცველთა, სასამართლოში მომუშავეთა, ჯანდაცვის პერსონალის, სოციალურ მუშაკთა მხრიდან შესაბამისი საკანონმდებლო ნორმებისა და ქალთა ძალადობასთან დაკავშირებული ყველა ასპექტის სრულყოფილი ცოდნა, ასევე ძალადობის ფაქტებზე ადეკვატური რეაგირება. მოუწოდებს მონაწილე სახელმწიფოს ჩაატაროს კვლევა ოჯახში ძალადობის გავრცელების, გამომწვევი მიზეზებისა და შედეგების შესახებ; მიაწოდოს ინფორმაცია და აღნიშნული კვლევის შედეგები შემდგომ პერიოდულ ანგარიშში. კომიტეტის რეკომენდაციაა ოჯახში ძალადობის გარდა, იმუშაოს, ასევე, ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოსაფხვრელად, რასაც ზოგადი რეკომენდაცია ითვალისწინებს. ასევე, ყურადღება მიაქციოს მეუღლის მიერ გაუპატიურების პრობლემის გადაჭრას. (პარაგრაფი 20)

**კომიტეტი აღნიშნავს** ადამიანით ვაჭრობის წინააღმდეგ მიმართულ საკანონმდებლო და სხვა სახის ღონისძიებების გატარებას, მათ შორის ადამიანებით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ კანონისა და სახელმწიფო სამოქმედო გეგმის მიღებას. კომიტეტი, ასევე, გამოხატავს შეშფოთებას საქართველოში გოგონათა და ქალთა ტრეფიკინგის შემთხვევათა გამო. (პარაგრაფი 21)

**კომიტეტი მოუწოდებს** მონაწილე სახელმწიფოს სრულად დაიცვას ტრეფიკინგის შესახებ სახელმწიფო კანონმდებლობა, სრულად განახორციელოს სახელმწიფო სამოქმედო გეგმა და ტრეფიკინგთან ბრძოლის სხვა ღონისძიებები. კომიტეტი მოუწოდებს მონაწილე სახელმწიფოს განიხილოს 2000 წელს ხელმოწერილი ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულის შესახებ გაეროს კონვენციის და ტრეფიკინგის, განსაკუთრებით ქალთა და ბავშვთა ტრეფიკინგის პრევენციის, შეჩერებისა და დასჯის შესახებ ოქმის რატიფიკაციის შესაძლებლობა. კომიტეტი მოუწოდებს მონაწილე სახელმწიფოს შეკრიბოს და გაანალიზოს პოლიციიდან და საერთაშორისო წყაროებიდან მიღებული მონაცემები, დასაჯოს ტრეფიკინგის განმხორციელებელი პირები და უზრუნველყოს ტრეფიკინგის მსხვერპლი ქალებისა და გოგონების უფლებების დაცვა. კომიტეტი ასევე მოუწოდებს მონაწილე სახელმწიფოს ტრეფიკინგის გამომწვევ მიზეზთა აღმოფხვრის მიზნით ხელი შეუწყოს ქალთა ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებას და შესაბამისად, აღმოფხვრას წინაპირობა, რისი წყალობითაც ქალები დაუცველნი არიან ექსპლუატაციისა და ტრეფიკინგის მწარმოებელთა წინაშე; ასევე, მიიღოს ზომები ტრეფიკინგის მსხვერპლი ქალებისა და გოგონების რეაბილიტაციისა და სოციალური ინტეგრაციისათვის. (პარაგრაფი 22)

დ) თავი შეიკავონ ქალის მიმართ რაიმე დისკრიმინაციული აქტისა თუ მოქმედებისაგან და უზრუნველყონ სახელმწიფო ორგანოებისა და დაწესებულებების მოქმედება ამ ვალდებულების შესაბამისად;

ე) მიიღონ ყველა შესაბამისი ზომა ნებისმიერი პირის, ორგანიზაციისა თუ საწარმოს მხრიდან ქალის დისკრიმინაციის აღმოსაფხვრელად;

ვ) მიიღონ ყველა შესაბამისი ზომა, საკანონმდებლოს ჩათვლით, იმ მოქმედი კანონების, დადგენილებების, ჩვეულებებისა და პრაქტიკის შესაცვლელად ან გასაუქმებლად, რომელიც ქალის დისკრიმინაციას ახდენს;

ზ) გააუქმონ თავიანთი სისხლის სამართლის კანონმდებლობის ყველა დებულება, რომელიც ქალის დისკრიმინაციას ახდენს.

## მუხლი 3

მონაწილე სახელმწიფოები ყველა სფეროში, კერძოდ, პოლიტიკურ, სოციალურ, ეკონომიკურ და კულტურულ სფეროებში იღებენ შესაბამის ზომებს, საკანონმდებლოს ჩათვლით, ქალის ყოველმხრივი განვითარებისა და პროგრესის უზრუნველსაყოფად, რათა მას მამაკაცთან თანასწორობის საფუძველზე შეექმნას ადამიანის უფლებებითა და ძირითადი თავისუფლებებით სარგებლობისა და მათი განხორციელების გარანტია.

**კომიტეტი შეშფოთებულია** საჯარო და პოლიტიკურ ცხოვრებაში, დიპლომატიურ კორპუსში, სამთავრობო აღმასრულებელ ორგანოებში, ადგილობრივ ხელისუფლებასა და პარლამენტში ქალების მცირე რაოდენობის გამო. (პარაგრაფი 23)

**კომიტეტი რეკომენდაციით მიმართავს** მონაწილე სახელმწიფოს მიიღოს არსებითი ზომები, გაატაროს დროებითი სპეციალური ღონისძიებები კონვენციის მე-4 მუხლის 1 პარაგრაფის და კომიტეტის ზოგადი რეკომენდაციების შესაბამისად, რათა დაჩქარდეს ქალთა თანაბარი მონაწილეობა არჩეულ და დანიშნულ ორგანოებში, მათ შორის საერთაშორისო დონეზე. აღნიშნული ღონისძიებები უნდა ადგენდეს შესაფერის კრიტერიუმებს, ციფრებში ასახულ მიზნებსა და მათი შესრულების ვადებს, ასევე, ლიდერობასა და მოლაპარაკებათა წარმოების უნარჩვევებში ტრეინინგების, პროგრამების შემუშავებას მოქმედი და მომავალი ქალი ლიდერებისათვის. კომიტეტი, ასევე, მოუწოდებს სახელმწიფო მხარეს წარმართოს საინფორმაციო კამპანია საჯარო და პოლიტიკურ ცხოვრებაში, გადაწყვეტილების მიღების პროცესში ქალების მონაწილეობის მნიშვნელობის შესახებ ცნობიერების ამაღლების მიზნით.[3] (პარაგრაფი 24)

**კომიტეტი გამოხატავს შეშფოთებას** დასაქმების ფორმალურ და არაფორმალურ ბაზარზე ქალების ფაქტობრივი მდგომარეობის შესახებ მიწოდებული ინფორმაციის სიმწირის გამო. ისევ შეშფოთებული რჩება სამუშაო ბაზარზე ქალებსა და მამაკაცებს შორის თანამდებობრივი დიფერენციაციისა და მათ ხელფასებს შორის არსებითი სხვაობის გამო. კომიტეტი აღნიშნავს ახალი შრომითი კოდექსის ნეგატიურ ზეგავლენას ქალების მდგომარეობაზე. აღნიშნული კოდექსი ითვალისწინებს საქართველოში დასაქმების რეგულირების ლიბერალიზაციას და არ შეიცავს თანაბარი ღირებულების სამუშაოსათვის თანაბარი ანაზღაურების დადგენის, სამუშაო ადგილზე სექსუალური ძალადობის აკრძალვის შესახებ ნორმებს. (პარაგრაფი 25)

**კომიტეტი მოუწოდებს** მონაწილე სახელმწიფოს შემდგომ პერიოდულ ანგარიშში წარმოადგინოს დეტალური ინფორმაცია, მათ შორის, სტატისტიკური მონაცემები დროის გარკვეულ პერიოდში არსებული ტენდენციების შესახებ საჯარო, კერძო, ფორმალურ და არაფორმალურ სექტორებში ქალთა დასაქმების და მათთვის თანაბარი შესაძლებლობების შექმნის მიზნით გატარებული ღონისძიებების შედეგების შესახებ.

**კომიტეტი მოუწოდებს** მონაწილე სახელმწიფოს გადადგას უფრო ინტენსიური ნაბიჯები დასაქმების პროგრამებში გენდერული საკითხის გათვალისწინების მიზნით და გაზარდოს ქალებისათვის ახალ ტექნოლოგიებთან ხელმისაწვდომობა.

---

*3. ეს რეკომენდაცია არ შესრულებულა, თუმცა დროებითი სპეციალური ზომების მიღების დანერგვის კანონპროექტი შეტან იქნა ქვეყნის პარლამენტში.*

**კომიტეტის რეკომენდაციით საჭიროა** მეტი ძალისხმევა გენდერის საფუძველზე თანამდებობრივი დიფერენციაციის (როგორც ჰორიზონტალურ, ასევე ვერტიკალურ დონეზე) აღმოსაფხვრელად. საჭიროა, ქალთა და მამაკაცთა ხელფასებს შორის განსხვავების შემცირება და აღმოფხვრა. აღნიშნულის მიღწევა შესაძლებელია საჯარო სექტორში ქალთა მიერ დომინირებულ სამუშაო ადგილთა შეფასებით და ხელფასის გაზრდით.

**კომიტეტი მოუწოდებს** მონაწილე სახელმწიფოს შემოიღოს ნორმები თანაბარი სამუშაოსთვის თანაბარი ანაზღაურების, ასევე, სექსუალური ძალადობის შესახებ კომიტეტის მე-19 რეკომენდაციის შესაბამისად.

ასევე **კომიტეტი ითხოვს** ქალებზე ახალი შრომის კოდექსის ზეგავლენის ანალიზს, კოდექსში საჭირო ცვლილებების შეტანას და შემდგომ მოხსენებაში აღნიშნული ანალიზისა და გადადგმული ნაბიჯების შესახებ ინფორმაციის ასახვას. (პარაგრაფი 26)

**კომიტეტი აღნიშნავს** საბაზრო ეკონომიკაზე ორიენტირებულ გარდამავალ პერიოდში მყოფი ქვეყნის სიძნელეებს. ამასთანავე, კომიტეტი გამოხატავს შეშფოთებას სიღარიბის ფემინიზაციით, განსაკუთრებით სოფლად მცხოვრებ ქალთა, მოხუცებულთა, ოჯახის მარჩენალ ქალთა და იძულებით გადაადგილებულ ქალებსა და გოგონებს შორის სიღარიბით. კომიტეტი შეშფოთებულია ქვეყანაში ქალთა დაუცველ ჯგუფებზე გათვლილი მიზანმიმართული პროგრამების ნაკლებობით. (პარაგრაფი 27)

**კომიტეტი ითხოვს** მონაწილე სახელმწიფოსაგან ქალებზე ეკონომიკური რესტრუქტურიზაციის ზეგავლენის შეფასებას და პრობლემის დაძლევის მიზნით საჭირო რესურსების მობილიზაციას. კომიტეტი ითხოვს გენდერული საკითხის გათვალისწინებას სიღარიბის აღმოფხვრის ყველა სახელმწიფო პროგრამასა და სტრატეგიაში; განსაკუთრებული ყურადღების მიპყრობას დაუცველ ჯგუფებზე, მათ შორის სოფლად მცხოვრებ ქალებზე, იძულებით გადაადგილებულ ქალებსა და გოგონებზე. კომიტეტი მოუწოდებს მონაწილე სახელმწიფოს კონვენციის მე-13 მუხლის შესაბამისად ქალებისათვის ხელმისაწვდომი გახადოს საბანკო სესხები და სხვა ფორმის ფინანსური კრედიტები.

**კომიტეტი მოითხოვს** მონაწილე სახელმწიფოსაგან თავის შედგომ პერიოდულ მოხსენებაში ასახოს ინფორმაცია ქალების, განსაკუთრებით დაუცველი ჯგუფების ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით გატარებული ღონისძიებების შესახებ. (პარაგრაფი 28)

**კომიტეტი ასევე შეშფოთებულია** ქალების ჯანმრთელობის, მათ შორის რეპროდუქციული ჯანმრთელობის, ავადმყოფობისა და სიკვდილიანობის, ქალებსა და გოგონებში განსაკუთრებით გავრცელებული დაავადებების შესახებ ინფორმაციისა და მონაცემების სიმცირის, ასევე, ქალებისათვის ჯანდაცვის სამსახურების ნაკლები ხელმისაწვდომობის გამო.

## მუხლი 4

1. მონაწილე სახელმწიფოს მიერ, მამაკაცსა და ქალს შორის ფაქტობრივი თანასწორობის დამყარების დასაჩქარებლად მიღებული დროებითი სპეციალური ზომები ამ კონვენციის განსაზღვრების მიხედვით, დისკრიმინაციულად არ ჩაითვლება, თუმცა, მან არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება გამოიწვიოს არათანაბარი და განსხვავებული სტანდარტების შენარჩუნება; აღნიშნული ზომები უნდა გაუქმდეს, როცა მიღწეული იქნება მიზანი, რომელიც შესაძლებლობათა და მოპყრობის თანაბრობაში გამოიხატება.

2. მონაწილე სახელმწიფოების მიერ დედობის დასაცავად სპეციალური, მათ შორის ამ კონვენციით გათვალისწინებული ზომების მიღება დისკრიმინაციულად არ ჩაითვლება.

**მუხლი 5**

მონაწილე სახელმწიფოები იღებენ ყველა შესაბამის ზომას, რათა:

ა) შეცვალონ მამაკაცისა და ქალის ყოფაქცევის სოციალური და კულტურული მოდელები იმ ცრურწმენებისა და ჩვეულებების, აგრეთვე, მთელი დანარჩენი პრაქტიკის აღმოფხვრის მიზნით, რომელიც ემყარება ერთ-ერთი სქესის არასრულფასოვნების ან უპირატესობის იდეას ან მამაკაცის და ქალის როლის სტერეოტიპულ გააზრებას.

ბ) უზრუნველყონ, რომ საოჯახო აღზრდა გულისხმობდეს დედობის, როგორც სოციალური ფუნქციის სწორ გაგებას და ბავშვის აღზრდისა და განვითარების საქმეში მამაკაცისა და ქალის საერთო პასუხისმგებლობის აღიარებას, ბავშვის უპირატესი ინტერესების გათვალისწინებით.

**კომიტეტი, ასევე, შეშფოთებით აღნიშნავს**, რომ აბორტის რაოდენობის მაჩვენებელი ჯერ კიდევ მაღალია, სახელმწიფოს არ გააჩნია მასშტაბური მიდგომა ჯანმრთელობის სფეროში ქალების დისკრიმინაციის აღმოსაფხვრელად. (პარაგრაფი 29)

**კომიტეტის რეკომენდაციაა** ქალთა ჯანდაცვის მიზნით და ზოგადი რეკომენდაციის მე-12 მუხლის შესაბამისად დაინერგოს ჯანდაცვის სფეროში მომსახურების ფართო სპექტრი, მოხდეს შესაბამისი რესურსების მობილიზაცია, ასევე გაკონტროლდეს ქალებისათვის ამ მომსახურებათა ხელმისაწვდომობა. კომიტეტი ითხოვს მონაწილე სახელმწიფოსგან თავის შემდგომ მოხსენებაში ასახოს დამატებითი ინფორმაცია ქალების ჯანმრთელობის, (მათ შორის ქალთა შორის ავადმყოფობისა და სიკვდილიანობის), ჩასახვის საწინააღმდეგო საშუალებათა გავრცელების, აბორტის რაოდენობის მაჩვენებლის, ქალებსა და გოგონებში გავრცელებულ ავადმყოფობათა, მათ შორის, სიმსივნის გავრცელების შესახებ და ასევე ქალებისათვის ჯანდაცვის სამსახურების, ოჯახური დაგეგმარების, სიმსივნის პრევენციის სამსახურების ხელმისაწვდომობის შესახებ. (პარაგრაფი 30)

**კომიტეტი გამოთქვამს შეშფოთებას** სოფლად მცხოვრები და ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი ქალების მდგომარეობის შესახებ ინფორმაციის ნაკლებობის გამო. (პარაგრაფი 31)

**კომიტეტი ითხოვს** მონაწილე სახელმწიფოსგან თავის შემდგომ ანგარიშში კონვენციით გათვალისწინებული სფეროების მიხედვით დეტალურად ასახოს ინფორმაცია სოფლად მცხოვრები და ეთნიკური უცირესობების წარმომადგენელი ქალების რეალური მდგომარეობის შესახებ. კომიტეტი ასევე ითხოვს, რომ მომდევნო პერიოდულ ანგარიშში აისახოს ინფორმაცია საქართველოში 18 წლამდე ასაკის გოგონების დაქორწინების შესახებ, ასევე ცოლად შერთვის მიზნით ქალთა, განსაკუთრებით, ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელ ქალთა მოტაცების შესახებ. (პარაგრაფი 32)

**კომიტეტი მოუწოდებს** მონაწილე სახელმწიფოს კონვენციით აღებული ვალდებულებების განხორციელებისას გაითვალისწინოს პეკინის დეკლარაცია და მოქმედების პლატფორმა, რომელიც აძლიერებს კონვენციის დებულებებს და ასახოს შესაბამისი ინფორმაცია თავის მომდევნო პერიოდულ ანგარიშში. (პარაგრაფი 33)

**კომიტეტი ხაზგასმით აღნიშნავს**, რომ კონვენციის სრული და ეფექტური შესრულება აუცილებელია ათასწლეულის განვითარების მიზნების მისაღწევად. კომიტეტი მოუწოდებს მონაწილე სახელმწიფოს გააძლიეროს გენდერული ხედვა და აღნიშნულის შესახებ ინფორმაცია ასახოს თავის მომდევნო პერიოდულ ანგარიშში. (პარაგრაფი 34)

# ნაწილი V

## კონფერენცია: ,,ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ კონვენციის იმპლემენტაცია საქართველოში: წინააღმდეგობები და პერსპექტივები"

კონფერენცია - „ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ კონვენციის იმპლემენტაცია საქართველოში: წინააღმდეგობები და პერსპექტივები", - გაიმართა თბილისში, 2010 წლის ნოემბერში. კონფერენციის მიზანი იყო საქართველოში ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ კონვენციის დებულებების შესრულებასთან დაკავშირებით ალტერნეტიული ანგარიშის მომზადება. აღნიშნული ანგარიში ქალთა დისკრიმინაციის აღკვეთის კომიტეტს წარედგინება 2011 წლის ნოემბერში.

**მუხლი 6**

**მონაწილე სახელმწიფოები იღებენ ყველა შესაბამის ზომას, საკანონმდებლოს ჩათვლით, ქალებით ყოველგვარი ვაჭრობისა და ქალის პროსტიტუციის ექსპლუატაციის აღსაკვეთად.**

კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობა მიიღო 50-ზე მეტმა ქალთა არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციის წარმომადგენელმა, გენდერული თანასწორობის საკითხებზე მომუშავე ექსპერტებმა, იურისტებმა, საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეებმა, აკადემიური წრეების წარმომადგენლებმა და იმ ადამიანებმა, რომლებსაც გააჩნიათ გარკვეული გამოცდილება გენდერული თანასწორობისა და ქალთა უფლებების დაცვის სფეროში.

მიუხედავად იმისა, რომ საკმაო სამუშაო ჩატარდა და დიდი ძალისხმევა დაიხარჯა, პროცესი სამოქმედო გეგმის მიღებით არ დასრულდა, თუმცა, დოკუმენტის ზოგიერთი ასპექტი გათვალისწინებულ იქნა 2007-2009 წლების გენდერული თანასწორობის პოლიტიკის რეალიზაციის ეროვნულ სამოქმედო გეგმაში.

კონფერენციაზე, წარდგენილ იქნა, ასევე, საქართველოში, ქალთა მდგომარეობის შესახებ უნივერსალური პერიოდული ანგარიში, რომელიც მომზადდა 21 ქალთა არასამთავრობო ორგანიზაციის მიერ, გაეროს ქალთა ორგანიზაციის (UN Women) მხარდაჭერით და წარედგინა გაეროს ადამიანის უფლებათა საბჭოს მე-10 სესიას ჟენევაში (შვეიცარია). უნივერსალური პერიოდული მიმოხილვის შედეგი იქნება რეკომენდაციები, რომლებიც აისახება მომდევნო ალტერნატიულ ანგარიშში CEDAW-ს განხორციელებისათვის.

## მუხლი 7

მონაწილე სახელმწიფოები მიმართავენ ყველა შესაბამის ზომას ქვეყნის პოლიტიკური და საზოგადოებრივ ცხოვრებაში ქალის დისკრიმინაციის ლიკვიდაციისათვის, კერძოდ, ქალისათვის, მამაკაცის თანასწორად, უზრუნველყოფენ უფლებას:

ა) ხმა მისცეს ყველა არჩევნებსა და რეფერენდუმში, არჩეულ იქნას ნებისმიერ სახალხოდ არჩეულ ორგანოში;

ბ) მონაწილეობდეს სახელმწიფო პოლიტიკის ფორმირებასა და განხორციელებაში და ეკავოს სახელმწიფო თანამდებობა, აგრეთვე, ახორციელებდეს ნებისმიერ საჯარო ფუნქციას, აღმასრულებელი ხელისუფლების ყველა დონეზე;

გ) მონაწილეობდეს არასამთავრობო ორგანიზაციებისა და ასოციაციების საქმიანობაში, რომლებიც ქვეყნის საზოგადოებრივი და პოლიტიკური პრობლემებით არიან დაკავებული.

2007-2010 წელს ჩატარებული კვლევების შედეგებზე დაყრდნობით, ექსპერტებს მიაჩნიათ, რომ ერთ-ერთი ყველაზე დიდი პრობლემა საქართველოში, ჯერ კიდევ, გენდერული როლების განაწილება და საზოგადოებაში დამკვიდრებული სტერეოტიპებია.

ოჯახში ძალადობა (უმეტესად, ქალთა მიმართ ძალადობა) ითვლება ყოველდღიურ მოვლენად და ამ ფაქტების გასაიდუმლოება ან დამალვა სავალდებულო ხდება ოჯახის ყველა წევრისთვის. უნდა აღინიშნოს, რომ საზოგადოებისთვის სრულიად ცხადია ამ მოვლენის ნეგატიური გავლენა როგორც ცალკეულ შემთხვევაში, ასევე, მთელ საზოგადოებაზე. შესაბამისად, იმისათვის, რომ მომავალი თაობა იყოს სრულფასოვანი, ხოლო ყველა ადამიანის უფლება და თავისუფლება დაცული თანაბრად, ასევე, განხორციელდეს ოჯახში ძალადობის პრევენცია, სახელმწიფო ვალდებულია მიიღოს ეფექტური ზომები ამ პრობლემების გადასაჭრელად.

### 5.1 2006-2011 წელს ქალთა უფლებებისა და გენდერული საკითხების შესახებ ჩატარებული კვლევები საქართველოში

2007-2010 წელს არაერთი კვლევა ჩატარდა საქართველოში ოჯახში ძალადობის სფეროში. ერთ-ერთი მათგანი, „ქალთა მიმართ ოჯახში ძალადობის საკითხების ეროვნული კვლევა საქართველოში"[4], ჩატარდა გაეროს მოსახლეობის ფონდისა და ნორვეგიის მთავრობის მიერ ერთობლივი პროექტის ფარგლებში და ორგანიზაციებთან – „ეისითი კვლევა" და სოციალურ მეცნიერებათა ცენტრი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი – თანამშრომლობით. ეს იყო პირველი ეროვნული კვლევა, რომელიც ეხებოდა ოჯახში ძალადობას და მოიცავდა:

- შინამეურნეობას;
- რესპონდეტსა და მის გარემოს;
- ზოგად ჯანმრთელობას;
- რეპროდუქციულ ჯანმრთელობას;
- შვილებს;
- ამჟამინდელ ან ბოლო პარტნიორს;
- ქალსა და მამაკაცს შორის ურთიერთგაგებას; (რესპონდენტსა და პარტნიორს შორის)
- დაზიანებებს;
- ძალადობის შედეგებსა და მათთან გამკლავების გზებს;
- სხვა გამოცდილებებს (ძირითადად 15 წლამდე რაიმე ტიპის იძულებას და ასევე საკუთარი და პარტნიორის ოჯახში ძალადობის გამოცდილება);
- ფინანსურ დამოუკიდებლობას;

---

*4. „ქალთა მიმართ ოჯახში ძალადობის საკითხების ეროვნული კვლევა საქართველოში", 2010;*

ეს არის პირველი კვლევა, როდესაც მონაცემები ქალთა მიმართ ოჯახში ძალადობის სხვადასხვა ფორმის გავრცელებაზე, ძალადობის მიზეზებსა და შედეგებზე მოიპოვეს მთელი ქვეყნის მასშტაბით: დედაქალაქში, ქალაქებსა და სოფლებში, ორი სახის კითხვარის გამოყენებით, რომელიც მომზადდა ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის კითხვარის საფუძველზე. ამ უკანასკნელში შევიდა უმნიშვნელო ცვლილებები ქვეყნის სპეციფიკის გათვალისწინებით. კვლევამ გააერთიანა რაოდენობრივი და თვისებრივი მიდგომები, რის შედეგადაც შესაძლებელი გახდა ოჯახში ძალადობის მიზეზებისა და შედეგების, ასევე, ოჯახში ძალადობის მიმართ ქალთა განწყობისა და შეხედულების შესწავლა.

კვლევამ თავი მოუყარა მონაცემებს არასრულწლოვან ქალთა მიმართ ფიზიკური და სქესობრივი ძალადობის, ასევე, ქმრისა და ოჯახის წევრის გარდა სხვა მოძალადის მხრიდან სქესობრივი ძალადობის შესახებ. აღნიშნული კვლევის მიხედვით საქართველოში ქალთა 14.3% ემოციური ძალადობის მსხვერპლი, ხოლო ქალთა 6,9 % ფიზიკური ძალადობის მსხვერპლია. ქალთა 2,3%-ს გამოცდილი აქვს ფიზიკური და სექსუალური ძალადობა.
კვლევის შედეგის ანალიზით, ექსპერტთა ჯგუფი მივიდა დასკვნამდე, რომ საქართველოში ძალადობის მიზეზი ხდება თავისუფალი გადაადგილება.

აღნიშნულ კვლევაში აისახა სამცხე-ჯავახეთის რეგიონში ჩატარებული 4 ფოკუს ჯგუფისა და 9 ჩაღრმავებული ინტერვიუს მონაცემები, რომელიც ხუთი არასამთავრობო ორგანიზაციის[5] მიერ 2008-2009 წლებში განხორციელებული პროექტის ,,საუწყებათაშორისო და საზოგადოებრივი ზომები ოჯახში ძალადობის აღმოსაფხვრელად საქართველოში: გაერთიანებული ძალები ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის კანონმდებლობის განსახორციელებლად" ფარგლებში ქალთა მიმართ ძალადობის დასაძლევად გაეროს სატრასტო ფონდის მხარდაჭერით განხორციელდა.

კონფერენციაზე წარმოდგენილი მეორე თემა იყო საქართველოში ძალადობისგან დაცვის ეროვნული ქსელის მიერ ჩატარებული კვლევა პროექტის ფარგლებში ,,ადმინისტრაციული შესაძლებლობების გაუმჯობესება ძალადობის პრევენციისა და მსხვერპლთა დახმარებისათვის"[6]. პროექტი განხორციელდა ესტონეთის ღია საზოგადოების ინსტიტუტთან პარტნიორობით, ესტონეთის მთავრობის მხარდაჭერით.

## მუხლი 8

მონაწილე სახელმწიფოები მიმართავენ ყველა შესაბამის ზომას, რათა უზრუნველყონ ქალისათვის მამაკაცის თანასწორად და დისკრიმინაციის გარეშე საერთაშორისო დონეზე საკუთარი მთავრობის წარმომადგენლისა და საერთაშორისო ორგანიზაციების მუშაობაში მონაწილეობის მიღების შესაძლებლობა.

5. ქალთა საინფორმაციო ცენტრი, ქალთა ინფორმაციისა და განათლების საერთაშორისო ცენტრი, დინამიკური ფსიქოლოგია განვითარებისა და დემოკრატიისათვის, სამცხე-ჯავახეთის დემოკრატ ქალთა საზოგადოება, ქალთა იმედი

6. ელექტრონული ვერსია იხილეთ: www.avng.ge/research.php

## მუხლი 9

1. მონაწილე სახელმწიფოები ქალს უფლებრივად უთანაბრებენ მამაკაცს მის მიერ მოქალაქეობის შეძენის, შეცვლის და შენარჩუნების დროს. განსაკუთრებით, უზრუნველყოფენ, რომ უცხოელზე ქორწინებამ ან ქორწინების პერიოდში ქმრის მოქალაქეობის შეცვლამ არ გამოიწვიოს ცოლის მოქალაქეობის ავტომატური შეცვლა, არ აქციოს ის მოქალაქეობის არმქონე პირად და არ აიძულოს მას ქმრის მოქალაქეობის მიღება.

2. მონაწილე სახელმწიფოები ქალს უფლებრივად უთანაბრებენ მამაკაცს შვილების მოქალაქეობის განსაზღვრისას.

ამ შემთხვევაში კვლევის რესპონდენტები იყვნენ:

- 201 საპატრულოს პოლიციისა და საუბნო სამსახურის თანამშრომელი;
- 500 მეან-გინეკოლოგი;
- 500 მელოგინე ქალი;
- 200 ექიმი; (სასწრაფო დახმარების, პედიატრები, გინეკოლოგები)
- 1291 ადამიანი. (რომელთაგან გამოკითხულია 30 პატიმარი ქალი, 37 მსხვერპლი საპატრულო პოლიციის გამოძახების ადგილზე, 139 მსხვერპლი - სასწრაფო დახმარების გამოძახების ადგილზე)

სულ გამოკითხული იყო 2692 ადამიანი. კვლევის შედეგად აღმოჩნდა, რომ:

- ყოველი მეოთხე ინციდენტი, რომელთანაც შეჯახება აქვს პოლიციას, დაკავშირებულია ოჯახში ძალადობასთან; საუბნო სამსახურის თანამშრომელთა მუშაობაში, ოჯახში ძალადობის შემთხვევებს, მთლიანი სამუშაოს მესამედზე მეტი - 36% უკავია;
- გამოკითხულ პოლიციელთა 76%-ს მსხვერპლთა დაცვის მიზნით გამოწერილი აქვს შემაკავებელი ორდერი;
- საშუალოდ, ექიმების 31% და უბნის ექიმების 39% ყოველდღიურ ცხოვრებაში ხვდება პაციენტს, რომლიც ოჯახში ძალადობის მსხვერპლია.

კვლევის ჩატარების დროს, რესპოდენტების, ამ შემთხვევაში პოლიციელებისა და ექიმების პასუხების შედარებისას, გამოვლინდა საინტერესო ტენდენცია. პოლიციელებს უფრო სერიოზული დამოკიდებულება აქვთ ძალადობის პრობლემასთან დაკავშირებით. ეს ბუნებრივია, ვინაიდან, პოლიცია ადგილზე აფასებს ვითარებას, ექიმი კი ოჯახში ძალადობის მსხვერპლს მოგვიანებით ხვდება და ხშირ შემთხვევაში არც კი იცის, (თუ მსხვერპლი თავად არ მოუყვა), რომ პაციენტის პრობლემა მასზე განხორციელებული ძალადობის შედეგია.

პოლიციელი რესპოდენტების გამოკითხვის შედეგად დადგინდა ზიანის ხარისხი, რომელიც მიაყენეს ოჯახში ძალადობის მსხვერპლს. კვლევის მიხედვით კონფლიქტი უმნიშვნელო სხეულის დაზიანებით დამთავრდა 47% შემთხვევაში; მსხვერპლს კონფლიქტის დროს არ მიუღია სხეულის დაზიანება 30% შემთხვევაში; მძიმე ფიზიკური დაზიანებით დასრულდა 16% შემთხვევა; კონფლიქტების 3% დასრულდა სხეულის ისეთი დაზიანებით, რომელიც სიცოცხლისთვის სავალალოა; და 4% -ის შემთხვევაში, კონფლიქტი დასრულდა მკვლელობით.

ძალადობისგან დაცვის ეროვნული ქსელის კვლევის შედეგებიდან გამომდინარე:

- გამოკითხული ექიმებიდან ყოველი მეოთხე საუბრობს შეწყვეტილ ორსულობაზე, როგორც ყველაზე გავრცელებულ ტრამვაზე, რომელიც მიიღო ოჯახში ძალადობის მსხვერპლმა;
- ყველა გამოკითხულმა ექიმმა განაცხადა, რომ წლის განმავლობაში რამდენჯერმე ჰყავდათ ორსული პაციენტი, რომელსაც აღენიშნებოდა ძალადობის კვალი;
- ყოველი მესამე გამოკითხული ექიმი თავისი პრაქტიკიდან ასახელებს შემთხვევებს, როდესაც ფიზიკური ძალადობის შედეგად შეწყდა ორსულობა.
- ტრამვების განსაკუთრებულ ჯგუფს წარმოადგენს რეპროდუქციული ორგანოების დაზიანება;
- გინეკოლოგების შეფასებით ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა ძირითადი ტრამვა არის სასქესო ორგანოების დაზიანება და მუცლის მოშლა (ორსულობის შეწყვეტა);
- საქართველოში გამოკითხული ყოველი მეოთხე გინეკოლოგი მიიჩნევს, რომ ორსულობის შეწყვეტა ოჯახში ძალადობის შედეგად მიღებული ყველაზე გავრცელებული ტრამვაა.

საქართველოში პატრიარქალური ურთიერთობები, ოჯახსა და საზოგადოებაში ქალთა და მამაკაცთა როლსა და პასუხისმგებლობებთან დაკავშირებით ღრმად გამჯდარი სტერეოტიპები, გავლენას ახდენს ქალების მიერ პროფესიის არჩევასა და სამუშაოს ანაზღაურებაზე.

ახალი შრომითი კოდექსი, რომელიც ქვეყანაში მიღებულ იქნა 2006 წლის 25 მაისს, ხელს უწყობს დასაქმების რეგლამენტაციის ლიბერალიზაციას, ქალის მიმართ დისკრიმინაციული ხასიათის მატარებელია და მასში გათვალისწინებული არ არის შრომის თანაბარი ანაზღაურება.

კონფერენციაზე წარმოდგენილი მესამე კვლევა „**საქართველოს ფინანსური პოლიტიკის გენდერული განზომილება**",[7] ეძღვნება საქართველოში ფინანსური პოლიტიკის გენდერულ ასპექტებს. მასში განხილულია გენდერული ტენდენციების განვითარების ანალიზი და არსებული პრობლემები ისეთ სფეროებში, როგორიცაა ჯანდაცვა, განათლება, შრომითი ბაზარი. კვლევის შედეგად გამოვლენილია ქვეყანის არასრულფასოვანი ფინანსური სტრატეგია, ასევე მოყვანილია ამ პრობლემის ფინანსური მოგვარების გზები, როგორც სახელმწიფო ხელისუფლებაში, ასევე ადგილობრივ თვითმმართველობაში.

## მუხლი 10

მონაწილე სახელმწიფოები მიმართავენ ყველა შესაბამის ზომას ქალის დისკრიმინაციის ლიკვიდაციისათვის, რათა მამაკაცისა და ქალის თანასწორობის საფუძველზე, ქალი უზრუნველყონ მამაკაცის თანაბარი უფლებებით განათლების დარგში, კერძოდ:

ა)პროფესიის ან სპეციალობის არჩევისას განათლების ხელმისაწვდომობის, ყველა კატეგორიის სასწავლო დაწესებულებების დიპლომის მიღების ერთნაირი პირობებით, როგორც სოფლის, ისე ქალაქის რაიონებში. ეს თანასწორობა უზრუნველყოფილ
უნდა იქნას როგორც სკოლამდელი, ზოგადი, ტექნიკური და უმაღლესი ტექნიკური,
ასევე, ყველა ტიპის სპეციალური განათლებისათვის;

ბ) სწავლების ერთნაირი პროგრამების, ერთნაირი გამოცდების, თანაბარი კვალიფიკაციის მასწავლებელთა შემადგენლობის, თანაბარი ხარისხის სასკოლო შენობებისა და მოწყობილობების ხელმისაწვდომობა;

გ) ყველა დონისა და ფორმის სასწავლებელში მამაკაცისა და ქალის როლის შესახებ სტერეოტიპული წარმოდგენების აღმოფხვრა ერთობლივი სწავლებისა და სწავლების სხვა ფორმების წახალისების გზით,>>

*7. ჩარიტა ჯაში, მიხეილ თოქმაზაშვილი; „საქართველოს ფინანსური პოლიტიკის გენდერული განზომილება;*

რომელიც ხელს შეუწყობს ამ მიზნის მიღწევას, კერძოდ, სახელმძღვანელოებისა და სასკოლო პროგრამების გადასინჯვითა და ამ მიზანთან სწავლების მეთოდების მისადაგებით;

დ) სტიპენდიებისა და სხვა სასწავლო დახმარების მიღების თანაბარი შესაძლებლობა;

ე) შემდგომი განათლების მიღების პროგრამების ხელმისაწვდომობის თანაბარი შესაძლებლობა, მოზრდილთა და ფუნქციური წიგნიერების პროგრამების ჩათვლით, რომელიც მამაკაცთა და ქალთა ცოდნაში არსებული ვაკუუმის სწრაფი შემცირებისაკენაა მიმართული;

ვ) სკოლადაუმთავრებელ გოგონათა რიცხვის შემცირება და პროგრამების შემუშავება იმ გოგონებისა და ქალებისათვის, რომელთაც ნაადრევად მიატოვეს სკოლა;

ზ) სპორტსა და ფიზიკურ მომზადებაში მონაწილეობის თანაბარი შესაძლებლობა;

თ) ოჯახის ჯანმრთელობისა და კეთილდღეობის უზრუნველყოფის ხელშესაწყობად საგანმანათლებლო ხასიათის სპეციალური ინფორმაციის ხელმისაწვდომობა, ოჯახის დაგეგმვის შესახებ ინფორმაციისა და კონსულტაციების ჩათვლით.

კვლევა განხორციელდა გაეროს განვითარების პროგრამის პროექტის ფარგლებში „გენდერი და პოლიტიკა" , გენდერული ბიუჯეტის საკითხებში ექსპერტის, ჩარიტა ჟაშისა და ეკონომიურ მეცნიერებათა დოქტორის, მიხეილ თოქმაზიშვილის მიერ.

ავტორების აზრით, გენდერული ასპექტების ინტეგრაცია ქვეყნის ეკონომიკურ პოლიტიკაში ხელს უწყობს ადამიანური რესურსების მობილიზებას და ფინანსური რესურსების თანაბარ გადანაწილებას.

კვლევაში ასახული გენდერული სტატისტიკა გვიჩვენებს, რომ:

- საქართველოში 2008 წელს ცხოვრობდა 2,304.6 ქალი და 2,080,80 კაცი;
- დასაქმებულთა შორის ნახევარზე მეტი ქალია;
- უმუშევრობის დონე თითქმის თანაბარია მამაკაცებსა და ქალებს შორის (16,8% მამაკაცი და 16,1% ქალი).

საქართველოში განხორციელებული რეფორმების შედეგების შესწავლისა და გენდერულ ჭრილში მათი განხილვის შედეგად აღმოჩნდა, რომ ქვეყანაში ეკონომიკური ზრდის ტემპი დაფიქსირდა, მაგრამ მას არ მოჰყოლია ქვეყანაში სიღარიბის მკვეთრი შემცირება; გაუარესდა დემოგრაფიული მდგომარეობა; გაიზარდა შრომითი მიგრაცია; გაღრმავდა გენდერული სეგრეგაცია შრომით ბაზარზე; საბაზრო ეკონომიკის ამ ეტაპზე სოციალური სამართლიანობის უზრუნველყოფა კვლავ გადაუჭრელ პრობლემად დარჩა და სოციალური დაცვის უნივერსალური სისტემიდან სიღატაკის დაძლევაზე ორიენტირებულ დახმარებაზე გადასვლამ ვერ უზრუნველყო მოსახლეობის ეფექტური სოციალური დაცვა.

კვლევამ გამოავლინა საქართველოში არსებული პრობლემები ეკონომიკის სოციალურ და პოლიტიკურ სფეროებში.

დასაქმების სფეროში ძირითადი პრობლემაა პროფესიული კარიერისა და საოჯახო ვალდებულებების შეთავსება; დისბალანსი კადრების მომზადებაში (იგულისხმება დეკრეტში მყოფი ქალების ან უმუშევრების დეკვალიფიკაცია); აუნაზღაურებელი შრომა; ვაჭრობის ლიბერალიზაცია და სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუარესება; დაბალი ინფორმირებულობა სოციალურ-ეკონომიკური უფლებების შესახებ და შრომითი კოდექსი;

ჯანდაცვის სფეროში საქართველო არის დაბალი/საშუალო შემოსავლების ქვეყანა, სადაც ჯანმრთელობის დაცვაზე მთლიანი დანახარჯი შეადგენს მშპ-ის მხოლოდ 8,7%-ს; ერთ ადამიანზე სამედიცინო მომსახურების წლიური დანახარჯი კი - 378 ლარს არ აღემატება. ამ თანხის 80%-ს იხდის მოსახლეობა.

კვლევის ჩატარებისას გამოვლინდა ფაქტორები, რომელიც ხელს უშლის გენდერული ბიუჯეტის დანერგვას:

- ხელისუფლების სტრუქტურის წარმომადგენლების დაბალი გენდერული მგრძნობელობა;
- გენდერული სტატისტიკისა და ინდიკატორების არარსებობა;
- ახალი ინდიკატორების გამოყენება მონიტორინგის დროს;
- აკადემიური კვლევების უმნიშვნელო რაოდენობა;
- ლობირება;
- სახელმწიფო სტრუქტურებში გენდერული ერთეულების შექმნა;
- თანამონაწილეობა.

2010 წლის ბოლოს საქართველოს პარლამენტმა დაამტკიცა 2011 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი, რომლის შესაბამისადაც:

- საერთო ბიუჯეტიდან ქვეყნის თავდაცვისათვის გამოიყო 9,9% 650 მილიონი ლარი;
- საზოგადოებრივი წესრიგისა და უსაფრთხოებისათვის 11,9% 782 მილიონ 800 ათასი ლარი;
- განათლებისთვის 8,3%  550 მილიონი ლარი;
- ჯანდაცვისთვის 5,8% 383 მილიონ 400 ათასი ლარი;
- სოციალური დაცვისთვის 24,1% 1 მილიარდ 408 ათასი ლარი;
- ეკონომიკური განვითარებისთვის 12,1% 797მილიონ 400 ათასი ლარი;
- სოფლის მეურნეობისთვის 2,2% 145 მილიონი ლარი;
- დასვენების, კულტურისა, რელიგიისთვის 1,5% 101 მილიონ 800 ათასი ლარი;

ამ მონაცემების გაანალიზების შემდეგ, ექსპერტებმა გამოიტანეს დასკვნა, რომ შესაბამისი სოციალურ დახმარების გარეშე დარჩებიან:

- უმუშევრები
- მრავალშვილიანი დედები
- მარტოხელა დედები/მამები
- ახალგაზრდა ოჯახები

როგორც კვლევამ გვიჩვენა, მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში არსებობს პოლიტიკური ნება დემოკრატიული, თანასწორუფლებიანი სოციალური საზოგადოების ფორმირებისთვის, ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკური და სოციალური ცვლილებები ვერ უზრუნველყოფს დემოკრატიული ღირე-

8. ნანა სუმბაძე; ,,გენდერი და საზოგადოება: - საქართველო"; თბ. 2008.

## მუხლი 11

1. მონაწილე სახელმწიფოები მიმართავენ ყველა შესაბამის ზომას ქალის დისკრიმინაციის ლიკვიდაციისათვის, რათა მამაკაცისა და ქალის თანასწორობის საფუძველზე, ქალს უზრუნველყონ მამაკაცის თანაბარი უფლებებით დასაქმების დარგში, კერძოდ:

ა) შრომის უფლებით, როგორც ყოველი ადამიანის განუყოფელი უფლებით;

ბ) სამუშაოზე დაქირავების დროს ერთნაირი შესაძლებლობების უფლებით, დაქირავებისას შერჩევის თანაბარი კრიტერიუმების გამოყენების ჩათვლით;

გ) პროფესიის ან სამუშაოს თავისუფალი არჩევის, თანამდებობრივი დაწინაურებისა და დასაქმების გარანტიის, აგრეთვე, ყველა სამსახურებრივი შეღავათითა და პირობით სარგებლობის, პროფესიული მომზადებისა და გადამზადების უფლებით - მონაფეობის, გაძლიერებული პროფესიული მომზადებისა და რეგულარული გადამზადების ჩათვლით;>>

ბულებების რეალიზაციას. ქალთა მონაწილეობა პოლიტიკურ და ეკონომიკურ დონეზე გადაწყვეტილებების მიღების პროცესში ისევ ნომინალურია და გენდერული თანასწორობის პოლიტიკის განხორციელება არ ხდება მმართველობის სხვადასხვა დონეზე.

კონფერენციაზე, კვლევა - „გენდერი და საზოგადოება: საქართველო"[8] - წარმოადგინა ექსპერტმა ნანა სუმბაძემ.

კვლევა განახორციელა საზოგადოებრივი პოლიტიკის ინსტიტუტმა გაეროს პროგრამის მხარდაჭერით „გენდერი და პოლიტიკა სამხრეთ კავკასიაში". კვლევის მიზანი იყო საქართველოში არსებული მდგომარეობის გამოვლენა გენდერული პერსპექტივების კუთხით.

მუშაობა მიმდინარეობდა 2007 წლის სექტემბერ-ნოემბერში თბილისში, აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკასა და საქართველოს 9 რეგიონში. თავიდან კვლევისთვის უნდა ყოფილიყო 1087 რესპოდენტი (44,1% ქალი და 55,9% მამაკაცი). იმისათვის, რომ გაკეთებულიყო სიტუაციური ანალიზი, ეთნიკურ უმცირესობით დასახლებულ რაიონებში, ახალციხესა და ნინოწმინდაში, დამატებით გამოიკითხა 52 ადამიანი.

სულ კვლევის მიმდინარეობისას გამოიკითხა 1300 ადამიანი, სადაც:

- ჩატარდა სიღრმისეული ინტერვიუები ექსპერტებთან, წამყვან პოლიტიკოსებთან და მასწავლებლებთან;
- ჩატარდა ფოკუს-ჯგუფები - ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენელ ქალებთან, სტუდენტებთან, ახალგაზრდობასთან თბილისსა და რეგიონებში, თვითდასაქმებულ ქალებთან და იძულებით გადაადგილებულ პირებთან;
- ფოტო-ხმა - ზუგდიდში იძულებით გადაადგილებულ პირთა ყოველდღიური ცხოვრების ამსახველი ფოტოსურათები (სულ 300 სურათი, 14 ადამიანი);

კვლევის ფარგლებში ჩატარებული შეხვედრების დროს მსჯელობის მთავარი თემა გახლდათ: გენდერული თანასწორობა, ქალთა როლი საზოგადოებრივ და პირად ცხოვრებაში, შესაძლებლობები და ბარიერები კარიერული ზრდის პროცესში, დასაქმება და სირთულეები ყოველდღიურ ცხოვრებაში.

რესპოდენტებისათვის მომზადებული სპეციალური კითხვარები მოიცავდა 151 კითხვას, მათ შორის ძირითადი იყო:

- გენდერული თანასწორობის საკითხებთან დამოკიდებულება;
- ოჯახში არსებული ძალაუფლების სტრუქტურა და როლების გადანაწილების პრინციპი;
- გოგონათა და ვაჟთა განათლების მიმართ დამოკიდებულება, მამაკაცებისა და ქალების კარიერული ზრდის წარმატება;

დ) თანაბარი ანაზღაურების, მათ შორის, შეღავათების მიღების, თანაბარი ღირებულების შრომისათვის თანაბარი პირობების, აგრეთვე, შესრულებული სამუშაოს ხარისხის შეფასებისადმი თანაბარი მიდგომის უფლებით;

ე) სოციალური უზრუნველყოფის უფლებით, კერძოდ, პენსიაზე გასვლის, უმუშევრობის, ავადმყოფობის, ინვალიდობის, მოხუცებულობის და შრომისუნარიანობის დაკარგვის სხვა შემთხვევებში, აგრეთვე, ანაზღაურებადი შვებულების უფლებით;

ვ) ჯანმრთელობის დაცვისა და შრომის უსაფრთხო პირობების, მათ შორის შთამომავლობის გაგრძელების ფუნქციის დაცვის უფლებით;

**2. გათხოვებისა და დედობის მიზეზით ქალის დისკრიმინაციის თავიდან ასაცილებლად და მისთვის შრომის ეფექტური გარანტიების შესაქმნელად, მონაწილე სახელმწიფოები მიმართავენ შესაბამის ზომებს, რათა:**

ა) სანქციების გამოყენების მუქარით აკრძალონ ორსულობისა და მშობიარობის გამო შვებულების საფუძველზე სამუშაოდან დათხოვნა ან დათხოვნისას ოჯახური პირობების გამო დისკრიმინაცია; >>

- ქცევა, რომელიც დაშვებულია ქალებისა და მამაკაცებისთვის, მათი პასუხისმგებლობები, ადამიანური თვისებები.

მუშაობის დროს განხილულ იქნა ადამიანის საქმიანობის ორი სფერო – საზოგადოებრივი და პირადი. საზოგადოებრივი სფერო, ანუ პოლიტიკური და სხვა ნებაყოფლობითი საქმიანობა, ითვლებოდა მამაკაცის პრეროგატივად, კერძო სფერო, ანუ ოჯახი – ქალების პრეროგატივად.

კვლევის მიზანი იყო ამ ორ სფეროში გენდერული ვითარების შესწავლა. ცნობილია რომ, როგორც მამაკაცების, ისე ქალებისათვის, გზა საქართველოს პარლამენტისა და საქართველოს თვითმმართველობის ორგანოებისაკენ პოლიტიკურ პარტიებზე გადის. სამწუხაროდ, უცნობია იმ ადამიანების რაოდენობა, რომლებიც რეგისტრირებულნი არიან ამა თუ იმ პოლიტიკურ პარტიაში, მითუმეტეს, ქალების რაოდენობა. კვლევის დროს პოლიტიკური პარტიების გამოკითხულ ლიდერთა უმრავლესობამ არ იცოდა მათ პარტიაში გაწევრიანებული ქალების რაოდენობა. საქართველოს გამოკითხული მოსახლეობიდან მხოლოდ 4,7%-ია (აქედან 5,2%  მამაკაცია და 3,6% ქალი) გაწევრიანებული რომელიმე პარტიაში. ქალები გაწევრიანებულნი არიან პოლიტიკურ პარტიებში, მაგრამ ძირითადად მათ ვხედავთ იერარქიის დაბალ საფეხურზე. ქალების მხოლოდ 9% წარმოადგენს გადაწყვეტილების მიმღებ ორგანოებს.

კვლევამ გამოავლინა, რომ პოლიტიკურ პარტიებში გენდერულ თანასწორობას უმნიშვნელო ყურადღება ექცევა:

- გენდერული საკითხები არ არის ასახული პოლიტიკური პარტიების დოკუმენტებში;
- პარტიები ფოკუსირებას არ ახდენენ ქალებზე, როგორც ამომრჩევლებზე;
- პარტიის წევრები არ იცნობენ გენდერულ თანასწორობასთან დაკავშირებულ საკითხებს.

ქალებს უკავიათ უფრო მაღალი თანამდებობები არასამთავრობო სექტორში და 59.2% ორგანიზაციის ხელმძღვანელია. ქალთა არასამთავრობო ორგანიზაციები მუშაობენ ქალთა საკითხებზე, მაგრამ არცერთი ორგანიზაცია არ მუშაობს მამაკაცთა პრობლემებზე. რესპოდენტების გამოკითხვისას გამოვლინდა, რომ პოლიტიკურ ცხოვრებაში ქალის დაბალი მონაწილეობის მიზეზი, მოტივაციისა და სურვილის არ ქონა და დაბალი თვითშეფასებაა.

ქვეყანაში რეგისტრირებულია 40,000 მეტი არასამთავრობო ორგანიზაცია. ექსპერტთა შეფასებით აქტიური მხოლოდ 10%-ია. ქალები არასამთავრობო ორგანიზაციებში უმრავლესობას წარმოადგენენ. ისინი შეადგენენ თანამშრომელთა 58.1%-ს თბილისში და 63.8% რეგიონებში.

ბ) შემოიღონ ანაზღაურებადი შვებულება ან შვებულება შესაბამისი სოციალური დახმარებით ორსულობისა და მშობიარობის გამო, მუშაობის წინანდელი ადგილის, თანამდებობისა და სოციალური დახმარების შენარჩუნებით;

გ) წაახალისონ აუცილებელი სოციალური მომსახურების გაწევა, რათა მშობლებს შეეძლოთ საოჯახო მოვალეობათა შესრულება შეუთავსონ შრომით საქმიანობასა და საზოგადოებრივ ცხოვრებაში მონაწილეობას, კერძოდ, საბავშვო დაწესებულებათა ქსელის შექმნისა და გაფართოების გზით;

დ) უზრუნველყონ ორსულობის პერიოდში ქალების განსაკუთრებული დაცვა ისეთი სამუშაოსაგან, რომელმაც მათ ჯანმრთელობაზე შეიძლება მავნე გავლენა იქონიოს.

3. კანონმდებლობა, რომელიც ამ მუხლით გათვალისწინებული უფლებების დაცვას ემსახურება, პერიოდულად განიხილება სამეცნიერო-ტექნიკური ცოდნის შუქზე, აგრეთვე, საჭიროების შემთხვევაში ექვემდებარება გადასინჯვას, გაუქმებას ან გაფართოებას.

## მუხლი 12

1. მონაწილე სახელმწიფოები მიმართავენ ყველა შესაბამის ზომას ქალის დისკრიმინაციის ლიკვიდაციისათვის ჯანმრთელობის დაცვის დარგში, რათა მამაკაცისა და ქალის თანასწორობის საფუძველზე უზრუნველყონ ქალისათვის სამედიცინო მომსახურების ხელმისაწვდომობა, მათ შორის ოჯახის დაგეგმვასთან დაკავშირებით.

2. ამ მუხლის I პუნქტის დებულებებისაგან დამოუკიდებლად, მონაწილე სახელმწიფოები ქალებს უზრუნველყოფენ შესაბამისი მომსახურებით ორსულობის, მშობიარობისა და მშობიარობის შემდგომ პერიოდში, აუცილებლობის შემთხვევაში უწევენ უფასო მომსახურებას, ასევე, ორსულობისა და მეძუძურობის პერიოდში უზრუნველყოფენ შესაბამისი კვებით.

ფოკუს ჯგუფების ჩატარებისას, პოლიტიკურ ცხოვრებაში ქალების დაბალი მონაწილეობის მიზეზად დასახელდა ადამიანური რესურსების ნაკლებობა და ქალთა შეზღუდული შესაძლებლობები. გარდა ამისა, ქალებში გამოვლინდა ისეთი თვისებები, რომელიც ხელს უშლის მათ აქტიურ ჩართვას პოლიტიკურ ცხოვრებაში ან დამოუკიდებელი პოლიტიკის წარმართვას (სხვებზე დამოკიდებულება, სიფრთხილე, რისკის გაწევის ნაკლები სურვილი).

დასაქმების მნიშვნელობა უფრო მეტია, ვიდრე ფინანსური რესურსის არსებობა. დასაქმება სტატუსის მაჩვენებელია, რომელიც გავლენას ახდენს თვითშეფასებაზე, ცხოვრებით კმაყოფილებაზე, თვითეფექტურობაზე, რწმენაზე, რომ ადამიანს შეუძლია გარკვეული საქმის შესრულება და სოციალური ბარიერის გადალახვა. გამოკითხვის დროს გამოვლინდა, რომ დასაქმება განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ფაქტორია მამაკაცებისათვის.

საქართველოში, მამაკაცები ქალებზე მეტად არიან დასაქმებულნი ფორმალურ და კერძო სექტორში, სადაც სამუშაოს უსაფრთხოება და შემოსავალი შედარებით მაღალია. ქალების უმრავლესობა დასაქმებულია დაბალანაზღაურებად, ნაკლებად უსაფრთხო სამსახურში. ქალები უფრო მრავლად არიან არაფორმალურ სექტორშიც. ორმაგი დატვირთვის მიუხედავად დასაქმება ქალებზე დადებით გავლენას ახდენს.

**უმუშევრობა საქართველოში**

- ქვეყანაში სიღარიბის ძირითადი მიზეზი მოსახლეობის უმუშევრობაა;
- უმუშევრობა დაკავშირებულია იზოლაციასთან, გაუცხოებასთან და წინაპირობაა არაჯანსაღი, სარისკო ქმედებებისთვის;
- უმუშევრობა ხელს უწყობს ფიზიკური და სულიერი ავადმყოფობის განვითარებას;
- უმუშევრობა ბევრად უფრო უარყოფითად მოქმედებს მამაკაცებზე;
- უმუშევრობა ზრდის სოციალურ იზოლაციას და ხშირად ხდება ოჯახის წევრებს შორის მტრული დამოკიდებულების მიზეზი;
- უმუშევარ და ღარიბ ადამიანთა უმეტესობა იწყებს სმას, ვარდება დეპრესიაში. დანაშაულის ჩადენა, ამ კატეგორიისთვის, შეიძლება გაგებულ იქნას, როგორც უმუშევრობის ალტერნატივა;

ძირითადი პრობლემები, რომელიც გამოვლინდა კვლევის დროს:

- აღიარებულია, რომ საქართველოში არ არის გენდერული თანასწორობა, მაგრამ ეს ნორმალურ მოვლენად მიიჩნევა. მოსაზრებები გენდერული თანასწორობის თაობაზე თავს მოხვეულ და ტრადიციული ღირებულებებისადმი საფრთხის შემცველად აღიქმება;

- ჯერ კიდევ  აქტუალურია საქმიანობის კერძო და საზოგადოებრივ სფეროებად დაყოფა. ამავდროულად, საზოგადოებრივი სფერო მამაკაცების საქმიანობის არენადაა მიჩნეული, ხოლო კერძო – ქალების;
- გენდერული უთანასწორობა შეიმჩნევა ცხოვრების ყველა სფეროში, ერთი ან მეორე სქესის სასარგებლოდ;
- საქართველოში, ქალებს კაცებზე ბევრად ნაკლები უფლებამოსილება აქვთ გადაწყვეტილების მიღების პროცესში და რესურსების განაწილებისას;
- საქართველოში ქალები ძალზე მცირე რაოდენობით არიან წარმოდგენილნი არჩევით და აღმასრულებელ ორგანოებში;
- საქართველოში უმუშევრობის შედეგები განსაკუთრებით მძიმედ აისახება მამაკაცებში;
- საქართველოში გენდერული თანასწორობის საკითხები არ დგას დღის წესრიგში სახელმწიფო პოლიტიკისა და პოლიტიკური პარტიების პროგრამების რეალიზაციისას;
- გენდერულ თანასწორობასთან დაკავშირებული მიზნების მიღწევა, რომლებიც ასახულია რატიფიცირებულ და საქართველოს მიერ ხელმოწერილ საერთაშორისო დოკუმენტებში (ათასწლეულის განვითარების მიზნები, საქართველო სიღარიბის გარეშე, ევროპის სამეზობლო პოლიტიკა და ა.შ.) შეუძლებელია ეფექტური პოლიტიკის შემუშავებისა და განხორციელების გარეშე. ასევე, ისეთი მუდმივმოქმედი ორგანოს შექმნის გარეშე, რომელიც განახორციელებს და მონიტორინგს გაუწევს ქვეყნაში გენდერული თანასწორობის პოლიტიკის რეალიზაციას.

## მუხლი 13

მონაწილე სახელმწიფოები მიმართავენ ყველა შესაბამის ზომას ქალის დისკრიმინაციის ლიკვიდაციისათვის, რათა მამაკაცისა და ქალის თანასწორობის საფუძველზე, ქალი უზრუნველყონ მამაკაცის თანაბარი უფლებებით ეკონომიკური და სოციალური ცხოვრების სხვა სფეროებში, კერძოდ:

ა) საოჯახო დახმარების უფლებით;

ბ) საბანკო კრედიტის, უძრავი ქონების გირავნობით სესხის და ფინანსური კრედიტის სხვა ფორმების მიღების უფლებით;

გ) დასვენების, სპორტისა და კულტურული ცხოვრების ყველა დარგთან დაკავშირებულ ღონისძიებებში მონაწილეობის უფლებით.

**დადებითი მოვლენები**

ბოლო ათწლეულში სახელმწიფოში გენდერული თანასწორობის სფეროში მნიშვნელოვანი დადებითი ცვლილებები მოხდა. ეს ცვლილებები გამოწვეული იყო არა სახელმწიფო პოლიტიკით, არამედ ქვეყანაში მიმდინარე მოდერნიზაციითა და სოციალური ცვლილებებით, კერძოდ, ისინი უკავშირდება მოთხოვნებს, რომელიც გამოიწვია ეკონომიკური სიტუაციის გაუარესებამ. შედეგად, ქალებმა საკუთარ თავზე აიღეს ოჯახის რჩენის ფუნქცია, რამაც, თავის მხრივ, გაზარდა ოჯახში მათი ძალაუფლება.

აუცილებელია აღინიშნოს დადებითი ცვლილებებიც სახელმწიფო პოლიტიკაში: ცვლილებები შევიდა კანონში „ოჯახში ძალადობის" შესახებ, მომზადდა და პირველი მოსმენით მიღებულ იქნა კანონი გენდერული თანასწორობის შესახებ, საპარლამენტო საკონსულტაციო საბჭო გენდერული თანასწორობის საკითხებზე გახდა მუდმივმოქმედი.

---

*9. დაწვრილებითი ინფორმაცია აღნიშნული კვლევის შესახებ შეგიძლიათ იხილოთ საერთაშორისო ჟურნალში „ჯონ-ჯოლი" №2; 2010*

## მუხლი 14

1. მონაწილე სახელმწიფოები მხედველობაში იღებენ სოფლად მცხოვრები ქალების განსაკუთრებულ პრობლემებს და იმ მნიშვნელოვან როლს, რომელსაც ისინი თავიანთი ოჯახების ეკონომიკური უზრუნველყოფის საქმეში თამაშობენ, მათ შორის, საქმიანობას მეურნეობის არასასაქონლო დარგებში, და მიმართავენ ყველა შესაბამის ზომას, სოფლად მცხოვრები ქალების მიმართ ამ კონვენციის დებულებათა გამოყენების უზრუნველსაყოფად.

2. მონაწილე სახელმწიფოები მიმართავენ ყველა შესაბამის ზომას რაიონებში ქალის დისკრიმინაციის ლიკვიდაციისათვის, რათა მამაკაცისა და ქალის თანასწორობის საფუძველზე უზრუნველყოფილ იქნას ქალთა მონაწილეობა რაიონების განვითარებასა და ასეთი განვითარებისაგან სარგებლობის მიღებაში, კერძოდ, ასეთ ქალებს აღჭურავენ უფლებით: >>

კონფერენციაზე წარდგენილი შემდეგი კვლევა იყო „სექსიზმი ქართულ მედიაში".[9] აღნიშნული თემა საქართველოს არასამთავრობო ორგანიზაციებისათვის ახალი სფერო გახდა კვლევით პრაქტიკაში. კვლევა ჩატარდა 2008 წლის იანვარ-თებერვალში 11 არასამთავრობო ორგანიზაციის მიერ და მათი ძირითადი მიზანი იყო საქართველოში გამომავალ ზოგიერთ ცენტრალურ და რეგიონალურ ჟურნალსა და გაზეთში დაბეჭდილი სექსისტური, ასევე ქალთა პრობლემატიკის გაშუქებისას დაფიქსირებული არაადეკვატური გამონათქვამებისა და ფრაზების მიმოხილვა-შეფასება.

შერჩეულ პერიოდიკაში ქალთა თემატიკასთან დაკავშირებული 140-მდე პუბლიკაცია დაფიქსირდა.

მონიტორინგისათვის შეირჩა ბეჭდვითი პრესა თბილისსა და საქართველოს სხვა რეგიონებში: იმერეთი, კახეთი, შიდა ქართლი, აჭარა, გურია, სამცხე-ჯავახეთი. მონიტორინგი განხორციელდა ზოგიერთ ელექტრონულ მედია-გამოცემაზეც.

მონიტორინგის შედეგად გაირკვა, რომ რეგიონალურ მედიაში ტექსტუალური სექსიზმები იშვიათად გვხვდება. ცენტრალურ პრესაში ვხვდებით როგორც ტექსტუალურ, ასევე გრაფიკულ მასალაში. სექსისტური დამოკიდებულებები უფრო ხშირია მრავალტირაჟიან, ურბანისტულ, ყვითელ მედიაში.

აჭარის რეგიონალურ პრესაში 100-მდე პუბლიკაცია ეხება ფემინურ საკითხებს. რეგიონალურ პრესაში მხოლოდ გაზეთ „ბათუმელებს" აქვს რუბრიკა „გენდერი".

კვლევის ავტორებმა გამოავლინეს მთელი რიგი დარღვევები და შეუსაბამობები, საქართველოს ბეჭდვით და ელექტრონულ მედიაში, მაგალითად:

- ხშირია შემთხვევები, როდესაც ფოტოები არ უკავშირდება პუბლიკაციის შინაარსს;
- პუბლიკაციებში არ გვხვდება რაიმე სახის კვლევების ან ანგარიშების მონაცემები;
- ხშირად ამა თუ იმ საკითხის ექსპერტებად არაკომპეტენტური პირები გვევლინებიან.

კონფერენციის - „ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ კონვენციის იმპლემენტაცია: წინააღმდეგობები და პერსპექტივები" - მნიშვნელოვან შედეგს წარმოადგენს ოთხი სამუშაო ჯგუფის მიერ ქალთა უფლებებისა და გენდერული თანასწორობის პრობლემურ საკითხებთან დაკავშირებით რეკომენდაციების შემუშავება.

## 5.2 საზოგადოებრივი და პოლიტიკური მონაწილეობა – ეფექტური ქმედებები და პერსპექტივები

სამუშაო ჯგუფმა ,,საზოგადოებრივი და პოლიტიკური მონაწილეობა – ეფექტური ქმედებები და პერსპექტივები“ ჩაატარა CEDAW-ს კონვენციის დებულებებისა და საქართველოს კანონმდებლობის შედარებითი ანალიზი ქალთა საზოგადოებრივ და პოლიტიკურ მონაწილეობასთან დაკავშირებით, რის შედეგადაც გამოვლინდა შემდეგი პრობლემები:

- ქალები არ მონაწილეობენ გადაწყვეტილების მიღების პროცესში;
- კანონში ,,საზოგადოებრივი და პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ გაწერილი არ არის გენდერულად დაბალანსებული სიების შედგენის პროცედურა. ზოგადად, ამის თაობაზე არ არის მითითებული საქართველოს არცერთ ნორმატიულ აქტში;
- არ არსებობს ეროვნული კანონმდებლობის შიდა და გარეშე შეფასება გენდერული ექსპერტიზის თვალსაზრისით;
- სუსტადაა განვითარებული ინსტიტუციური მექანიზმები;
- საარჩევნო კოდექსში არ არის განსაზღვრული პროცედურები, რომელიც ხელს შეუწყობს ქალების გაძლიერებას;
- პასიურია არასამთავრობო ორგანიზაციები არჩევნების პერიოდში;
- არასამთავრობო ორგანიზაციებს აქვთ ნეიტრალური პოლიტიკა წინასაარჩევნო პერიოდში;
- არასამთავრობო ორგანიზაციები ვერ იყენებენ არსებულ რესურსებს;
- იქმნება წინააღმდეგობები საკანონმდებლო ცვლილებებთან დაკავშირებით;
- გენდერული თანასწორობის საკითხებზე საზოგადოების ინფორმირებულობის დაბალი დონე, განსაკუთრებით ხელისუფლების წარმომადგენლებში;
- სუსტად განვითარებული ინსტიტუციური გარემო, საპარლამენტო საბჭო, გენდერულად მგრძნობიარე აზროვნების ფორმირება საკანონმდებლო ბაზის სრულყოფისათვის;
- მამაკაცებს არ აქვთ სურვილი დათმონ პირველობა;
- პოლიტიკური პარტია ვალდებულია წარმოადგინოს არჩევნებში მონაწილე კანდიდატების დაბალანსებული სია, მაგრამ პოლიტიკური პარტია ამას ნებაყოფლობით არ გააკეთებს;
- კანონს ქმნიან მამაკაცები და ცდილობენ კანონი მოირგონ თვითონ. ქალები თითქმის არ მონაწილეობენ ამ პროცესში. ამის ნათელი მაგალითია კანონი, რომელიც არ ავალდებუ-

ა) ყველა დონეზე მონაწილეობდნენ განვითარების გეგმების შემუშავებასა და განხორციელებაში;

ბ) ხელი მიუწვდებოდეთ სამედიცინო მომსახურების შესაბამის საშუალებებზე, ოჯახის დაგეგმვის საკითხებზე ინფორმაციის, კონსულტაციებისა და მომსახურების ჩათვლით;

გ) უშუალოდ იღებდნენ სარგებელს სოციალური დაზღვევის პროგრამებისაგან;

დ) იღებდნენ ყველა სახის ფორმალურ და არაფორმალურ მომზადებასა და განთლებას, წიგნიერების ჩათვლით, აგრეთვე, სარგებლობდნენ სათემო მომსახურების და საკონსულტაციო მომსახურების ყველა საშუალებით, ტექნიკური მომზადების დონის ამაღლების მიზნით; >>

>> ე) ქმნიდნენ თვითდახმარების ჯგუფებსა და კოოპერატივებს, ეკონომიკურ შესაძლებლობათა თანაბარი ხელმისაწვდომობის მიზნით დაქირავებული შრომის ან თვითდასაქმების საშუალებით;

ვ) მონაწილეობდნენ ყველა სახის კოლექტიურ საქმიანობაში;

ზ) ჰქონდეთ შესაძლებლობა, მიიღონ სასოფლო-სამეურნეო კრედიტი და სესხები, ისარგებლონ მარკეტინგის სისტემით, შესაბამისი ტექნოლოგიითა და მიწისა და აგრარულ რეფორმებში, აგრეთვე, ხელახლა დასახლების გეგმებში თანაბარი სტატუსით;

თ) სარგებლობდნენ ცხოვრების სათანადო პირობებით, განსაკუთრებული საბინაო, სანიტარული, ელექტრო და წყალმომარაგებით, აგრეთვე ტრანსპორტითა და კავშირგაბმულობის საშუალებებით მომსახურებასთან მიმართებაში.

ლებს მამაკაცს ჩაიტაროს გენეტიკური ექსპერტიზა მამობის დასადგენად;

- ქალები ნაკლებად არიან წარმოდგენილნი ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში;

ამის საფუძველზე წარდგენილ იქნა შემდეგი რეკომენდაციები:

- აუცილებელია ეროვნული საკანონმდებლო ბაზის თანხვედრა საერთაშორისო ნორმებთან;
- სამოქალაქო კოდექსის გადახედვა და გენდერული ასპექტების დანერგვა, ქალის უფლება საკუთრებაზე, საქორწინო ხელშეკრულებების შედგენის ვალდებულება;
- დროებითი ზომების (კვოტირება) შემოღება გადაწყვეტილების მიღების დონეზე ქალთა პოლიტიკური დაწინაურების ხელშესაწყობად;
- ინსტიტუციური მექანიზმების შექმნა სხვადასხვა დონეზე;
- საკანონმდებო ინიციატივის ამოქმედება/ლობირება; (2008 წლის 2 მაისს ქალთა არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ წარდგენილი კანონპროექტი დროებითი ზომების შემოღებასთან დაკავშირებით, 32400 მოქალაქის ხელმოწერით);
- კანონმდებლობით დაევალოს პოლიტიკურ პარტიებს წარადგინოს არჩევნებში მონაწილე კანდიდატების გენდერულად დაბალანსებული სიები;
- განიმარტოს კანონში პოლიტიკურ პარტიებში გაწევრიანების პროცედურა;
- შეიქმნას და გაძლიერდეს ახალი ინსტიტუციური მექანიზმები აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენელთა მონაწილეობით. შეიქმნას საკოორდინაციო საბჭო პრემიერ მინისტრთან არსებული აღმასრულებელი სტრუქტურების წარმომადგენელთა მონაწილეობით.
- შეიქმნას და გაძლიერდეს გენედრული თანასწორობის საკითხებზე საკონსულტაციო საბჭო არასამთავრობო ორგანიზაციების მონაწილეობით, ჩატარდეს საინფორმაციო კამპანია;
- ჩამოყალიბდეს სახელმწიფო პოლიტიკა გენდერული თანასწორობის მისაღწევად.

ადგილობრივ და ეროვნულ დონეზე ქალთა პოლიტიკურ მონაწილეობასთან დაკავშირებით გამოვლინდა შემდეგი პრობლემები:

- სუსტად განვითარებული პოლიტიკური პარტიები;
- პოლიტიკურ პარტიებში არ არსებობს კონკრეტული პროგრამები;
- პოლიტიკური პარტიების წესდებაში არ არის მკაფიოდ გაწ-

ერილი შიდა პროცედურები და არსებობის შემთხვევაშიც ის ძალზე ბუნდოვანია;

- არ ტარდება პოლიტიკურ პარტიათა საქმიანობის შიდა და გარე შეფასება;
- პოლიტიკურ პარტიებში არ არის გენდერული ბალანსი, შესაბამისად, არ შეიძლება პარტიებს მოვთხოვოთ ქალთა თანაბარი მონაწილეობა, ვინაიდან ქალები და მამაკაცები არათანაბრად არიან წარმოდგენილნი;
- რამდენად სწორად და მკაფიოდ ესმით პოლიტიკურ პარტიებს თავიანთი ფუნქცია და რამდენად გასაგებია მათთვის, რომ პოლიტიკური პარტია არ არის ბიზნეს-სტრუქტურა;
- პოლიტიკოსთა არაკვალიფიცირება, პოლიტიკური მოღვაწის სტატუსის მინიჭების გამარტივებული პროცედურა (საკმარისია წარადგინო განცხადება იმის შესახებ, რომ გსურს რომელიმე პარტიის წევრობა და უკვე პოლიტიკოსი ხარ);
- პოლიტიკურ პარტიებში გაწევრიანების პროცედურების არ არსებობა, ან გამარტივებული პროცედურა, ხელს უწყობს პოლიტიკურ პარტიის წევრთა შორის უპასუხისმგებლობის ზრდას;
- ერთი პარტიიდან მეორეში გადასვლის დამაბრკოლებელი ბარიერის არარსებობა. პოლიტიკური ეთიკის არარსებობა;
- ხელისუფლებაზე განაწყენებული ადამიანებით შექმნილი პარტიების სიმრავლე. რაც ყოვლად მიუღებელი და არაეთიკურია;
- პოლიტიკურ პარტიათა უმრავლესობა ასოცირდება ერთი ადამიანის სახელთან;
- პოლიტიკურ პარტიებსა და არასამთავრობო ორგანიზაციებს შორის მჭიდრო თანამშრომლობის არარსებობა;
- პოლიტიკური პარტიებისთვის არ ხდება კონკრეტული წინადადებების შეთავაზება;
- ქალთა ჯგუფების გაძლიერება პოლიტიკურ პარტიებში;
- ქალთა არასამთავრობო ორგანიზაციებს არ აქვთ ძალა და რესურსი ყველა პოლიტიკურ პარტიასთან თანამშრომლობისათვის;
- პოლიტიკურ პარტიებში ცალკე არსებული ქალთა ჯგუფები. აუცილებელი არ არის გენდერული თანასწორობის თემა ცალკე გამოყო, ეს იწვევს მის მარგინალიზებას და არ ხდება შედეგზე ორიენტირება;
- არ არსებობს შიდა პარტიული კვოტები;
- არ არსებობს შიდა პარტიული დემოკრატია;
- არ არსებობს პოლიტიკოსის სტატუსის განსაზღვრება და არც განსაზღვრების აუცილებლობა;
- არ არსებობს პოლიტიკური განათლება და პოლიტიკური პარტიის იდეოლოგია;

## მუხლი 15

1. მონაწილე სახელმწიფოები კანონის წინაშე აღიარებენ ქალის მამაკაცთან თანასწორობას.

2. მონაწილე სახელმწიფოები ქალს ანიჭებენ მამაკაცის თანაბარ სამოქალაქო უფლებაუნარიანობას და მისით სარგებლობის თანაბარ შესაძლებლობებს, კერძოდ, უზრუნველყოფენ ქალის თანაბარ უფლებებს ხელშეკრულებების დადებისა და ქონების მართვისას, აგრეთვე, მისდამი თანაბარ დამოკიდებულებას სასამართლოებსა და ტრიბუნალებში საქმის განხილვის ყველა ეტაპზე.

3. მონაწილე სახელმწიფოები თანხმდებიან, რომ ბათილად და ძალადაკარგულად ჩაითვალოს ნებისმიერი ხელშეკრულება და კერძო იურიდიული დოკუმენტი, რომელსაც ქალის უფლებაუნარიანობის შეზღუდვა მოჰყვება.

4. მონაწილე სახელმწიფოები მამაკაცსა და ქალს ანიჭებენ თანაბარ უფლებებს გადაადგილების, ბინადრობისა და საცხოვრებელი ადგილის არჩევის თავისუფლების კანონმდებლობასთან მიმართებაში.

მუხლი 16

მონაწილე სახელმწიფოები მიმართავენ ყველა შესაბამის ზომას ქალის დისკრიმინაციის ლიკვიდაციისათვის ქორწინებასა და საოჯახო ურთიერთობებთან დაკავშირებულ ყველა საკითხში, კერძოდ, მამაკაცთა და ქალთა თანასწორობის საფუძველზე უზრუნველყოფენ:

ა) ქორწინებისას ერთნაირ უფლებებს;

ბ) მეუღლის თავისუფლად არჩევისა და მხოლოდ თავისუფალი და სრული თანხმობით ქორწინების თანაბარ უფლებებს;

გ) ქორწინებაში ყოფნისა და განქორწინების დროს ერთნაირ უფლებებსა და მოვალეობებს;

დ) მშობლების თანაბარ უფლებებსა და მოვალეობებს, მათი ოჯახური მდგომარეობისაგან დამოუკიდებლად, შვილებთან დაკავშირებულ საკითხებში, რადგან ნებისმიერ შემთხვევაში შვილების ინტერესები უპირატესია; >>

- პოლიტიკურ პარტიებს აქვთ გადაჭარბებული მოლოდინი ქალთა არასამთავრობო ორგანიზაციების მიმართ, კანდიდატი ქალების მხარდაჭერასთან დაკავშირებით, განსაკუთრებით არჩევნების დროს;
- პოლიტიკოს ქალთა სრულყოფილი მონაცემთა ბაზის არარსებობა. არ ხდება არსებული მონაცემთა ბაზის პოპულარიზაცია და მისი განახლება.

პრობლემების გადასაჭრელად ჯგუფის მიერ შემუშავდა შემდეგი რეკომენდაციები:

- შიდაპარტიული დემოკრატიზაცია;
- შიდაპარტიული კვოტირება;
- გენდერული მეინსტრიმინგი პოლიტიკურ პარტიებში;
- პოლიტიკურ პარტიებში არსებული კადრების ოპტიმიზაცია;
- პარტიის წევრი და უპარტიო ქალი კანდიდატების მომზადება, რათა საჭიროების შემთხვევაში შესაძლებელი იყოს საჭირო კადრების წარდგენა;
- სპეციალური სატელევიზიო და რადიო გადაცემების მომზადება ქალთა უფლებებსა და გენდერულ თანასწორობაზე საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბებისა და თემის პოპულარიზაციის მიზნით;
- რესპუბლიკური პარტიისთვის საპილოტე პროგრამების გამოყენება „თანამშრომლობა პოლიტიკურ პარტიებთან - გენდერული მეინსტრიმინგი";
- პოლიტიკოს ქალთა მონაცემთა ბაზის შექმნა და სრულყოფა. საინფორმაციო უზრუნველყოფა;
- მხარდაჭერა და ქალური სოლიდარობა.

## 5.3 სამოქმედო სტრატეგიის შემუშავება ქალთა დაწინაურების ხელშეწყობისთვის

კონფერენციის მუშაობის პროცესში დღის წესრიგში დადგა გადაწყვეტილების მიღების დონეზე ქალთა დაწინაურების ხელშესაწყობად ახალი სამოქმედო გეგმის შემუშავებისა და მიღების აუცილებლობა, ასევე, ამ ინიციატივის ლობირება. სამუშაო ჯგუფის მონაწილეთა აზრით, მხოლოდ ასე შეიძლება რეალური ცვლილებების მიღწევა ქალთა დაწინაურების პროცესში. თუმცა, სამოქმედო გეგმის შემუშავებისას საჭიროა იმ ხელისშემშლელი ფაქტორების გათვალისწინება, როგორიცაა:

- არასამთავრობო ორგანიზაციების არასტაბილური დაფინანსება;
- სხვა ქვეყნების პოზიტიური გამოცდილების გაზიარების ნაკლებობა;

- მომზადებული ქალი კადრების არარსებობა, რომლებიც შემდეგ იმუშავებენ პოლიტიკურ პარტიებში;
- გენდერული თანასწორობის ინსტიტუტების არარსებობა ცენტრსა და რეგიონებში;
- გენდერული თანასწორობის პოლიტიკის ფორმირება - განხორციელებაზე პასუხისმგებლობა არავის არ აქვს;
- ოფიციალურ დონეზე სამშვიდობო პროცესებში ქალთა მონაწილეობის კომპონენტის არარსებობა;
- არასამთავრობო ორგანიზაციებს შორის კონსოლიდაციის არარსებობა;
- ქალთა მოძრაობის დისკრედიტაცია მედია საშუალებებით, რაც ხშირ შემთხვევაში გამოწვეულია არაინფორმირებულობითა და პრობლემის მიზეზების არცოდნით;
- არასამთავრობო ორგანიზაციებს არ აქვთ სურვილი მოამზადონ და მონაწილეობა მიიღონ სპეციალურ ტელე/რადიო პროგრამებში;
- არასამთავრობო ორგანიზაციების საქმიანობის გაშუქება;
- ქალთა უფლებებისა და გენდერული თანასწორობის სფეროში ჩატარებული კვლევების შესახებ საზოგადოების დაბალი ინფორმირებულობა. მხოლოდ ცალკეული დონორი და ამ თემებზე მომუშავე მცირე დაინტერესებული ჯგუფი იცნობს ამ კვლევებს;
- არ არსებობს ლობისტთა ჯგუფი;
- აუცილებელია ყველა დისკრიმინაციულ ქმედებაზე რეაგირება. მაგალითად, პარლამენტში ოჯახში ძალადობის შესახებ კანონის განხილვის შემთხვევა; პარლამენტარის მიერ საკუთარი ცოლის მისამართით ღალატთან დაკავშირებული ცრუ ბრალდება და სხვა მსგავსი შემთხვევა;
- მომზადებული და პროფესიონალი კადრების არარსებობა; ქალი კარგად უნდა იყოს მომზადებული, მხოლოდ ამ შემთხვევაშია ის თავდაჯერებული, მამაკაცებისგან განსხვავებით;

ზემოთაღნიშნული პრობლემების გადასაჭრელად სამუშაო ჯგუფის წევრებმა შეიმუშავეს შემდეგი რეკომენდაციები:

- არასამთავრობო სექტორის გაძლიერება;
- მუშაობა ხელისუფლების წარმომადგენლებთან გადაწყვეტილების მიღების ყველა დონეზე, პოლიტიკურ პარტიებთან;
- საკანონმდებლო ცვლილებები;
- არსებული ინსტიტუციური მექანიზმების გაძლიერება;
- გენდერული თანასწორობის კანონის პოპულარიზაცია;

ე) შვილების რაოდენობისა და მათ დაბადებას შორის დროის შუალედების საკითხის თავისუფლად და პასუხისმგებლობით გადაწყვეტის თანაბარუფლებებს. აგრეთვე, ამ უფლებებით სარგებლობისათვის საჭირო ინფორმაციისა და განათლების მიღების შესაძლებლობას;

ვ) მეურვეობასთან, მზრუნველობასთან, წარმომადგენლობასთან და შვილებთან ან ანალოგიური ფუნქციების შესრულებასთან მიმართებაში თანაბარ უფლებებსა და მოვალეობებს, როცა ამას ეროვნული კანონმდებლობა ითვალისწინებს;

ზ) მეუღლეთა თანაბარ პირად უფლებებს, მათ შორის გვარის, პროფესიისა და საქმიანობის არჩევასთან მიმართებაში;

თ) მეუღლეთა ქონების მფლობელობის, შეძენის, მართვის, სარგებლობისა და განკარგვის თანაბარ უფლებას.

1. ბავშვის ნიშნობასა და ქორწინებას იურიდიული ძალა არა აქვს. მიღებულ უნდა იქნას ყველა ზომა, საკანონმდებლოს ჩათვლით, რათა სავალდებულო წესით განისაზღვროს ქორწინების მინიმალური ასაკი და ქორწინების აუცილებელი რეგისტრაცია სახელმწიფო რეესტრში.

## მუხლი 17

1. ამ კონვენციის განხორციელებისას მიღწეული პროგრესის განსახილველად არსდება ქალის დისკრიმინაციის სალიკვიდაციო კომიტეტი (შემდგომში "კომიტეტი"), რომელიც კონვენციის ძალაში შესვლის მომენტისათვის შედგება 18, ხოლო ოცდამეთხუთმეტე მონაწილე სახელმწიფოს მიერ მისი რატიფიკაციის ან მასთან მიერთების შემდეგ _ 23 მაღალი მორალური თვისებებისა და კომპეტენციის მქონე ექსპერტისაგან. მონაწილე სახელმწიფოები ექსპერტებს ირჩევენ საკუთარ მოქალაქეთაგან და ისინი მოქმედებენ პერსონალურად. ექსპერტების შერჩევისას მხედველობაში მიიღება სამართლიანი გეოგრაფიული განაწილება და სხვადასხვა ცივილიზაციების, აგრეთვე სამართლებრივი სისტემების წარმომადგენლობა. >>

- გენდერული თანასწორობის კანონის იმპლემენტაციისათვის ეროვნული სამოქმედო გეგმის ღონისძიებათა რეალური განხორციელება;
- ქალთა საინიციატივო ჯგუფებსა და ადგილობრივ ხელისუფლებას შორის თანამშრომლობა;
- პოლიტიკური პარტიისთვის კონკრეტული წინადადებების მიწოდება გენდერული თანასწორობის ხელშესაწყობად;
- ინსტიტუციური გაძლიერება, პასუხისმგებლობის გადანაწილება;
- მიღწეული შედეგების შენარჩუნება და გაძლიერება;
- მოლაპარაკებების პროცესებში ქალთა მონაწილეობის ხელშეწყობა, ოფიციალურ დონეზე კონფლიქტების მოსაგვარებლად. სამშვიდობო საკითხებზე ქალთა განათლების ამაღლება;
- ხელისუფლებაში გენდერული ბალანსის უზრუნველყოფა. გენდერული თანასწორობის სახელმწიფო პოლიტიკის ჩამოყალიბება;
- ქალთა მოძრაობის პოპულარიზაცია;
- ლობისტთა ჯგუფის შექმნის პროცესის ხელშეწყობა, ლობისტი მამაკაცების მოზიდვა;
- ქალთა საკითხებზე მომუშავე ორგანიზაციამ საჭიროა ისაუბროს ამ თემაზე;
- განცხადების მომზადება და საზოგადოებრივი არხის ტელერადიო კომუნიკაციის ხელმძღვანელობისთვის მიწოდება გადაცემის მოსამზადებლად;

მასალების შეჯერების შედეგად ჯგუფმა შეიმუშავა საბოლოო რეკომენდაციები:

- საკანონმდებლო ბაზის სრულყოფა: კვოტირების მექანიზმების შემოღება;
- ინსტიტუციური მექანიზმების სრულყოფა;
- პოლიტიკური პარტიების დემოკრატიზაციის პროცესის ხელშეწყობა გენდერული მეინსტრიმინგის გზით;
- ქალთა ,,კვალიფიციური კადრების" შესახებ სრულყოფილი მონაცემთა ბაზის შექმნა და მისი საინფორმაციო უზრუნველყოფა;
- მედია უზრუნველყოფა.

## 5.4 ეკონომიკური მონაწილეობა - რესურსებზე თანაბარი ხელმისაწვდომობა

ჯგუფმა განიხილა შემდეგი საკითხები:

1. რა პრობლემებია ეკონომიკურ რესურსებთან ქალთა ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებით?
2. განსხვავდება თუ არა ქალებისა და მამაკაცების ხელფასი და რა გზები არსებობს ამ პრობლემის გადასაჭრელად?
3. ქალთა რომელი ჯგუფებია განსაკუთრებით მოწყვლადი ამ სფეროში და რა ნაბიჯები უნდა გადაიდგას მათ დასახმარებლად?
4. შრომითი უფლებების თვალსაზრისით რომელი საერთაშორისო სტანდარტები ირღვევა?

სამუშაო ჯგუფმა განიხილა აღნიშნული საკითხები და დისკუსიის საფუძველზე შეიმუშავა რეკომენდაციები მათ მოსაგვარებლად.

ეკონომიკურ რესურსებთან ქალთა ხელმისაწვდომობის საკითხთან დაკავშირებით გამოვლინდა შედეგი პრობლემები:

- უმუშევრობა;
- დაბალი ანაზღაურება;
- ბიზნესის განვითარების დაბალი დონე;
- არასრულყოფილი საკანონმდებლო ბაზა;
- გადაწყვეტილების მიღებისას უფლების შეზღუდვა;
- ხარვეზები შრომით კანონმდებლობაში;
- შრომით ბაზართან დაკავშირებული ინსტიტუტების არარსებობა (დასაქმების სამსახური, შრომის ბირჟა და ა.შ.);
- არამეგობრული ბიზნეს გარემო;
- შეზღუდული ხელმისაწვდომობა ფინანსურ რესურსებთან (იაფი კრედიტი, მცირე კრედიტი, მცირე გრანტი);
- სათანადო განათლების არქონა;
- მიკროსაფინანსო ინსტიტუტების ნაკლებობა;
- შრომითი რესურსების აღრიცხვიანობა;
- შრომითი რესურსების სწორი მართვა;
- პროფესიული გადამზადება და შემდგომი დასაქმება;
- უწყვეტი სწავლების სისტემა;
- შრომის უსაფრთხოების დაცვა;
- შრომითი ურთიერთობები;
- ზეგანაკვეთური სამუშაოს (აუნაზღაურებელი) ვალდებულება;
- შრომითი ექსპლუატაციის რისკი;

2. კომიტეტის წევრებს ირჩევენ მონაწილე სახელმწიფოების მიერ დასახელებულ პირთაგან, ფარული კენჭისყრით. ყოველ მონაწილე სახელმწიფოს შეუძლია დაასახელოს 1 პირი თავის მოქალაქეთაგან.

3. პირველი არჩევნები ეწყობა ამ კონვენციის ძალაში შესვლის დღიდან 6 თვის შემდეგ. ყოველი არჩევნების მოწყობამდე სულ ცოტა 3 თვით ადრე გაერთიანებული ერების გენერალური მდივანი მონაწილე სახელმწიფოებს უგზავნის წერილს, წინადადებით, წარმოადგინონ თავიანთი კანდიდატურები 2 თვის განმავლობაში. გენერალური მდივანი ადგენს სიას, რომელშიც ანბანური წესით შეჰყავს ყველა პირი იმ მონაწილე სახელმწიფოთა აღნიშვნით, რომლებმაც ისინი დაასახელეს, და წარუდგენს მონაწილე სახელმწიფოებს. >>

4. კომიტეტის წევრთა არჩევნები ეწყობა მონაწილე სახელმწიფოთა სხდომაზე, რომელსაც იწვევს გენერალური მდივანი გაერთიანებული ერების შტაბ-ბინაში. სხდომაზე, რომლის კვორუმსაც მონაწილე სახელმწიფოთა 2/3 შეადგენს, კომიტეტში არჩეულ პირებად ითვლებიან ის კანდიდატები, რომლებიც ხმათა მეტ რაოდენობას და სხდომაზე დამსწრე და კენჭისყრაში მონაწილე სახელმწიფოთა წარმომადგენლების ხმათა აბსოლუტურ უმრავლესობას მიიღებენ.

5. კომიტეტის წევრებს ირჩევენ 4 წლის ვადით, თუმცა პირველ არჩევნებში არჩეულ 9 წევრს უფლებამოსილების ვადა 2 წლის შემდეგ გაუდის; I არჩევნების მოწყობისთანავე, კომიტეტის თავმჯდომარე წილისყრით ასახელებს ამ 9 წევრის გვარებს.

6. კომიტეტის დამატებით 5 წევრის არჩევა ხდება ამ მუხლის II, III და IV პუნქტების დებულებათა შესაბამისად ოცდამეთხუთმეტე სახელმწიფოს მიერ კონვენციის რატიფიკაციის ან მასთან მიერთების შემდეგ. >>

- ვაკანსიების შესახებ განცხადების ტექსტების დისკრიმინაციული ხასიათი და ტესტირების არადიფერენცირებული სისტემა.

ჩამოთვლილი პრობლემების გადასაჭრელად შემუშავდა ისეთი სახის რეკომენდაციები, როგორიცაა:

- კანონდებლობის სრულყოფა;
- ადმინისტრირების სრულყოფა;
- კანონმდებლობის გაცნობა – უფასო კონსულტაციები;
- რეგიონებში ქალთა ეკონომიკურ ჩართულობაზე ყურადღების გამახვილება;
- ქალთა გააქტიურება ეკონომიკურ სფეროში გადაწყვეტილების მიღების პროცესში;
- მიკროსაფინანსო ინსტიტუტების შექმნა და ხელმისაწვდომობა;
- შეღავათიანი და ხელმისაწვდომი კრედიტები;
- მცირე და საშუალო ბიზნესის მხარდამჭერი საკოორდინაციო საბჭოს ფუნქციების აღდგენა და ამუშავება;
- მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებისათვის საინვესტიციო სააგენტოების დაინტერესება პროექტებით;
- ბიზნესის მხარდამჭერი სტრუქტურების შექმნა;
- გეოგრაფიული არეალის გაფართოება იაფი კრედიტების პროგრამის განხორციელებისთვის;
- შრომითი კანონმდებლობის შესაბამისობა საერთაშორისო ნორმებთან;
- ხელისშემშლელი პირობების აღმოფხვრა, რომელიც ზღუდავს ქალის ეკონომიკურ რესურსებთან ხელმისაწვდომობას;
- დასაქმების სფეროში თანაბარი ხელმისაწვდომობისთვის ქალების ხელშეწყობა;
- ბიზნესის განვითარების ხელშეწყობა;
- ფინანსებაზე ხელმისაწვდომობა: იაფი კრედიტები, მცირე გრანტები;
- დასაქმების სტრუქტურის აღდგენა;
- უმუშევრობის შემწეობის აღდგენა;
- პროფესიული გადამზადებისა და უწყვეტი სწავლების სისტემის განვითარება და ხელშეწყობა;
- შრომის უსაფრთხო პირობები;
- შრომითი ურთიერთობების რეგულირება;
- კანონმდებლობის რეგულირება;
- ინსტიტუციური მექანიზმების დახვეწა;
- სწავლასა და დასაქმებას შორის პირდაპირი დამოკიდებულება;
- მიზნობრივი დიფერენციაცია;

- შრომითი რესურსების კონკურენტუნარიანობა;

მიუხედავად იმისა, რომ ეროვნული კანონმდებლობით აკრძალულია დისკრიმინაცია სქესობრივი ნიშნით და არ არსებობს მუხლი, რომელიც განსაზღვრავს შრომის ანაზღაურებასა და ხელფასს (ქალებს და მამაკაცებს კი აქვთ თანაბარი უფლებები), მათი შემოსავლები განსხვავდება სხვადასხვა მიზეზით. სამუშაო ჯგუფმა გამოკვეთა ეს მიზეზები და დასახა ამ პრობლემის გადაჭრის გზები:

**მიზეზები**:

- განსხვავება კანონმდებლობასა და რეალობას შორის;
- მამაკაცთა სიმრავლე მაღალანაზღაურებად და/ან მმართველ პოზიციებზე;
- ქალთა სიჭარბე დაბალანაზღაურებად, ნაკლებად პრესტიჟულ პოზიციებზე;
- მამაკაცს გაცილებით მეტი დრო აქვს;
- ქალს ნაკლები დრო რჩება ოჯახის მოვლის ვალდებულების გამო.

**გადაჭრის გზები**:

ქალთა რაოდენობის გაზრდა მმართველ პოზიციებზე;

- ზოგიერთი პროფესიის წახალისება გენდერული თანასწორობის დაცვის მიზნით;
- ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისობა საერთაშორისო სტანდარტებთან;
- მხარდაჭერა კერძო სექტორის მხრიდან;
- სახელმწიფოს ზრუნვა ხალხის დასაქმებაზე;
- უფასო პროფესიული გადამზადება შემდგომი დასაქმების მიზნით;
- საინფორმაციო ბაზის შექმნა.

სამუშაო ჯგუფის მონაწილეებმა განიხილეს ამ საკითხში განსაკუთრებით მოწყვლადი ქალთა ჯგუფები და დასახეს შედგომი ნაბიჯები მათ დასახმარებლად.

მოწყვლადი ჯგუფები:

- მარტოხელა დედები;
- მრავალშვილიანი დედები;
- სოფლად მცხოვრები ქალები;
- დევნილი ქალები;
- ოჯახში ძალადობის მსხვერპლი ქალები;
- სხვა ძალადობის მსხვერპლი ქალები;
- ტრანზიციის პერიოდში მყოფი ქალები;
- ახალგაზრდა პენსიონერები.

ამგვარად, არჩეულ 2 დამატებით წევრს უფლებამოსილების ვადა გასდის 2 წლის შემდეგ; ამ 2 წევრის გვარებს ასახელებს კომიტეტის თავმჯდომარე წილისყრით.

7. გაუთვალისწინებელი ვაკანსიების შესავსებად, მონაწილე სახელმწიფო, რომლის ექსპერტმაც, როგორც კომიტეტის წევრმა, შეწყვიტა ფუნქციონირება, კომიტეტის თანხმობით ნიშნავს სხვა ექსპერტს თავის მოქალაქეთაგან.

8. კომიტეტის წევრები იღებენ გენერალური ასამბლეის მიერ დამტკიცებულ გასამრჯელოს გაერთიანებული ერების სახსრებიდან, კომიტეტის მნიშვნელობის გათვალისწინებით ასამბლეის მიერ დადგენილი წესითა და პირობებით.

9. გაერთიანებული ერების გენერალური მდივანი უზრუნველყოფს კომიტეტს აუცილებელი პერსონალითა და მატერიალური საშუალებებით, კომიტეტის მიერ ამ კონვენციის შესაბამისი ფუნქციების ეფექტური განხორციელებისათვის.

## მუხლი 18

მონაწილე სახელმწიფოები ვალდებულებას კისრულობენ, გაერთიანებული ერების გენერალურ მდივანს კომიტეტში განსახილველად წარუდგინონ მოხსენება მათ მიერ ამ კონვენციის დებულებათა შესასრულებლად მიღებული საკანონმდებლო, სასამართლო, ადმინისტრაციული, თუ სხვა ღონისძიებებისა და ამასთან დაკავშირებით მიღწეული წარმატებების თაობაზე:

ა) დაინტერესებული სახელმწიფოსათვის ამ კონვენციის ძალაში შესვლის დღიდან 1 წლის განმავლობაში;

ბ) ამის შემდგომ ყოველ 4 წელიწადში ერთხელ მაინც და მომავალში კომიტეტის მოთხოვნის შესაბამისად.

1. მოხსენებაში შეიძლება მითითებულ იქნას ის ფაქტორები და სიძნელეები, რომლებიც ამ კონვენციით ნაკისრ ვალდებულებათა შესრულების ხარისხზე გავლენას ახდენენ.

ჯგუფმა პრობლემის გადასაჭრელად შეიმუშავა შემდეგი გადაჭრის გზები:

- ცნობიერების ამაღლება/ინფორმირება;
- აღრიცხვა/სტატისტიკა;
- პროფორიენტაცია/გადამზადება;
- დასაქმება;
- უმუშევრობის შემწეობა.

საქართველოში შრომის უფლებების კუთხით ირღვევა თითქმის ყველა საერთაშორისო სტანდარტი, მაგალითად, შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის კონვეციის ძირითადი, ფუნდამენტური სტანდარტები. ასევე ირღვევა საერთაშორისო სტანდარტები, რომლებიც დევს სოციალური ქარტიის საფუძველში, სოციალურ და ეკონომიკურ პაქტში, ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ კონვენციაში.

## 5.5 ქალთა მოწყვლადი ჯგუფები - პრობლემები და მათი გადაჭრის გზები

სამუშაო ჯგუფმა განიხილა აქტუალური პრობლემები, რომელიც არსებობს ზოგიერთ მოწყვლად ჯგუფში და შეიმუშავა მათ მოსაგვარებლად სპეციალური რეკომენდაციები.

ამგვარად, ძირითად პრობლემად მიჩნეულ იქნა:

- მონიტორინგი და შეფასება (რამდენად სრულდებოდა წინა რეკომენდაციები);
- დოკუმენტების არარსებობა, რომელიც დაასაბუთებს მონიტორინგის ჩატარებასა და წინა წლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების შეფასებებს;
- ზოგიერთი მოწყვლადი ჯგუფის, მაგალითად, ელბითი, ტრანსგენდერი და სხვათა ინტერესების იგნორირება;
- პრობლემის სოციოლოგია და იმის გამოვლენა, თუ რომელი ქვეკატეგორიები უნდა განიხილებოდეს „მოწყვლად ჯგუფებად";
- ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე მომუშავე ორგანიზაციების შესახებ ინფორმაციის არარსებობა, რაც ხელს უშლის პროცესის ეფექტურობასა და თანამშრომლობის განვითარებას;
- ქსელებისა და კოალიციების არ არსებობა, არაკოორდინირებული მუშაობა ადგილობრივ, ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე მოწყვლადი ჯგუფების პრობლემების გადასაჭრელად.

არსებული პრობლემებიდან გამომდინარე მომზადდა შემდეგი რეკომენდაციები:

1. დაკონკრეტდეს ტერმინი - ,,მოწყვლადი ჯგუფები". საჭიროა საერთაშორისო დონეზე შეთანხმების მიღწევა ამ ტერმინთან დაკავშირებით;
2. მოწყვლად ჯგუფებთან მომუშავე ორგანიზაციათა მონაცემთა ბაზის შექმნა და მათი საინფორმაციო მხარდაჭერა;
3. ეფექტური მუშაობისთვის თანამშრომლობა ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე; კოალიციური, ქსელური სისტემების შექმნა; კოორდინირება ლოკალურ, ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე;
4. პროცესის გაძლიერებისათვის ახალი ორგანიზაციების ჩართვა და მათთვის სპეციალური საინფორმაციო და მეთოდოლოგიური სემინარების მოწყობა;
5. თემატური შეხვედრების მოწყობა იმ ორგანიზაციებისათვის, რომლებიც მუშაობენ მოწყვლადი ჯგუფების პრობლემებზე;
6. მოწყვლადი ჯგუფის პრობლემებზე სადისკუსიო კლუბის დაარსება;
7. არსებული ანგარიშების თავმოყრა და მონაცემთა ერთიანი ბაზის შექმნა;
8. სპეციალური ინტერნეტ-ანკეტირების ჩატარება, რაც ხელს შეუწობს ინფორმაციის სწორ სისტემატიზაციას და ეფექტურ გამოყენებას. ჩრდილოვანი ანგარიშის სტრუქტურის მიხედვით ამ მონაცემების სისტემატიზაცია და ახალი ანგარიშის მომზადება;
9. ჩრდილოვანი ანგარიშის მომზადების პროცესში და საბოლოო ექსპერტიზის ჩასატარებლად, აუცილებელია სამუშაო პროცესში სპეციალისტების ჩართვა – იურისტების, ფსიქოლოგების, სოციოლოგების;

კონფერენციამ, ,,ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ კონვენციის იმპლემენტაცია საქართველოში: წინააღმდეგობები და პერსპექტივები", აჩვენა, რომ გენდერული თანასწორობის პოლიტიკის რეალიზაციის საქმეში, საქართველოს ხელისუფლება ჯერ კიდევ დიდ იმედებს ამყარებს დონორი ორგანიზაციების ფინანსურ მხარდაჭერაზე. ეს გაგრძელდება მანამ, სანამ გენდერული თანასწორობის პოლიტიკის რეალიზაცია არ გახდება სახელწიფოსთვის პრიორიტეტი. თუმცა, სახელმწიფოს პრეროგატივა და დონორი ორგანიზაციების ,,კეთილი ნება" არ შეიძლება იყოს გადამწყვეტი ფაქტორი.

## მუხლი 19

1. კომიტეტი ამტკიცებს პროცედურის საკუთარ წესებს.

2. კომიტეტი თანამდებობის პირებს ირჩევს 2 წლით.

## მუხლი 20

1. კომიტეტი ყოველწლიურად არა უმეტეს 2 კვირის განმავლობაში იკრიბება. ამ კონვენციის XVIII მუხლის შესაბამისად წარმოდგენილი მოხსენებათა განსახილველად.

2. კომიტეტის სხდომები, ჩვეულებრივ, იმართება გაერთიანებული ერების შტაბ-ბინაში ან ნებისმიერ სხვა შესაფერის ადგილას, რომელსაც კომიტეტი განსაზღვრავს.

## მუხლი 21

1. კომიტეტი, ეკონომიკური და სოციალური საბჭოს მეშვეობით, გაერთიანებული ერების გენერალურ ასამბლეას ყოველწლიურად წარუდგენს მოხსენებას თავისი საქმიანობის შესახებ და მონაწილე სახელმწიფოთაგან მიღებული მოხსენებებისა და ინფორმაციის შესწავლის საფუძველზე ამზადებს ზოგადი ხასიათის წინადადებებსა და რეკომენდაციებს. ასეთი წინადადებები და რეკომენდაციები კომიტეტის მოხსენებაში შეაქვთ მონაწილე სახელმწიფოების შენიშვნებთან ერთად, შენიშვნების არსებობის შემთხვევაში.

2. გენერალური მდივანი კომიტეტის მოხსენებებს ინფორმაციისათვის უგზავნის კომისიას ქალის სტატუსის შესახებ.

სახელმწიფოს მხრიდან პოლიტიკური ნების გამოვლენა შეასრულოს ყველა ნაკისრი საერთაშორისო ვალდებულება და განახორციელოს რეალური გენდერული თანასწორობის მიღწევისაკენ მიმართული პოლიტიკა, რომელიც უზრუნველყოფილი იქნება შესაბამისი ადამიანური, ტექნიკური და ფინანსური რესურსით – გადამწყვეტი იქნება ამ პროცესში. სხვაგვარად სახელმწიფო ვერ უზრუნველყოფს გენდერული თანასწორობის პოლიტიკის დე-ფაქტო რეალიზაციას და პრობლემა გადაუჭრელი დარჩება. ქალთა უფლებებისა და გენდერული თანასწორობის საკითხებზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციების საქმიანობა, მათი თანამშრომლობა სხვა სტრუქტურებთან, პოზიტიურად იმოქმედებს ამ სფეროში მიმდინარე პროცესებზე.

კონფერენცია - „ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ კონვენციის იმპლემენტაცია საქართველოში: წინააღმდეგობები და პერსპექტივები" - გაიმართა, ქალთა საინფორმაციო ცენტრის ინიციატივით, შვედური ფონდის „ქალები ქალებისათვის" (Kvinna till Kvinna) მხარდაჭერითა და ქალთა განათლებისა და ინფორმაციის საერთაშორისო ცენტრთან პარტნიორობით, რომელიც ნიდერლანდების სამეფოს საელჩოს სამოქალაქო საზოგადოების პროგრამის (Matra) ფარგლებში ახორციელებს პროექტს ქალთა საინფორმაციო ცენტრთან ერთად.



# ნაწილი VI

## რეკომენდაციების პაკეტი CEDAW-ს კომიტეტში ალტერნატიული ანგარიშის წარსადგენად

ალტერნატიული ანგარიშის მომზადებისა და CEDAW-ს კომიტეტში წარდგენისას არასამთავრობო ორგანიზაციებმა უნდა გაითვალისწინონ შემდეგი ნაბიჯები:

**ნაბიჯი 1**: განსაზღვრონ კოორდინირებული ძალისხმევით პრიორიტეტები;

**ნაბიჯი 2**: შეაგროვონ და გააანალიზონ ალტერნატიული ინფორმაცია;

**ნაბიჯი 3**: მოამზადონ ალტერნატიული ანგარიში;

**ნაბიჯი 4**: **განიხილონ და გაავრცელონ ალტერნატიული ანგარიში**.

- CEDAW-ს კომიტეტის სხდომის წინ;
- CEDAW-ს კომიტეტის სხდომაზე.

მთავრობებმა, რომლებმაც მოახდინეს CEDAW-ს კონვენციის რატიფიცირება, ვალდებულნი არიან წარადგინონ პერიოდული ანგარიშები CEDAW-ს კომიტეტში ოთხ წელიწადში ერთხელ. ამავდროულად, არასამთავრობო ორგანიზაციებსაც შეუძლიათ წარადგინონ თავიანთი ანგარიში, სადაც აღწერენ ქალთა უფლებების დაცვის სფეროში არსებულ მდგომარეობას, რაც არ იყო ასახული მონაწილე სახელმწიფოს ეროვნულ ანგარიშში.

არასამთავრობო ორგანიზაციების ალტერნატიული ანგარიშის მონაცემები ეყრდნობა მცირე კვლევებს და ასახავს:

- ქალთა რეალურ მდგომარეობას;
- პროგრესს, რომელიც მიაღწია სახელმწიფომ CEDAW-ს კონვენციის განხორციელებისას;
- კანონმდებლობასა და მისი იმპლემენტაციის პროცესში არსებულ ნაკლოვანებებს და სუსტ მხარეებს;
- ადამიანის - ქალთა უფლებების დაცვისას წარმოქმნილ ბარიერებს.

### მუხლი 22

სპეციალიზებულ დაწესებულებებს უფლება აქვთ წარმოდგენილი იყვნენ ამ კონვენციის ისეთი დებულებების განხორციელების საკითხების განხილვისას, რომლებიც მათი საქმიანობის სფეროს განეკუთვნება. კომიტეტს შეუძლია სპეციალიზებულ დაწესებულებებს მოუწოდოს, წარმოადგინონ მოხსენებები კონვენციის განხორციელების შესახებ იმ დარგებში, რომლებიც მათი საქმიანობის სფეროს განეკუთვნება.

**მუხლი 23**

ეს კონვენცია არ ზღუდავს მამაკაცსა და ქალს შორის თანასწორობის მიღწევის უფრო მეტად ხელშემწყობ სხვა დებულებებს, რომლებსაც შეიძლება შეიცავდეს:

ა) მონაწილე სახელმწიფოს კანონმდებლობა, ან

ბ) რომელიმე სხვა საერთაშორისო კონვენცია, ხელშეკრულება ან შეთანხმება, რომელიც ამ სახელმწიფოსათვის ძალაშია.

ეს მონაცემები ეხმარებათ ამა თუ იმ ქვეყანაში ქალთა უფლებების დაცვის სფეროში გამოვლინდეს დე-იურესა (კანონით) და დე-ფაქტოს (რეალობაში) შორის არსებული შეუსაბამობა, რაც, თავის მხრივ, არასამთავრობო ორგანიზაციებს საშუალებას აძლევს გამოავლინონ ის სფეროები და საკითხები, რომლებიც მოითხოვენ სასწრაფო გადაჭრასა და ჩარევას. ამის გარდა, მონაცემები ეხმარებათ გამოვლინდეს ის სფეროები, რომელშიც სახელმწიფო ვერ მოახერხებს ეფექტურ ჩარევას, ხოლო არასამთავრობო ორგანიზაციას შეუძლია შექმნას ხელსაყრელი პირობები კონკრეტული მოქმედებების განხორციელებისათვის ქალთა უფლებების დასაცავად.

## 6.1 მოსამზადებელი ნაბიჯები

**ნაბიჯი 1: პრიორიტეტების განსაზღვრა კოორდინირებული ძალისხმევით**

CEDAW-ს ანგარიშის მომზადების ფარგლებში უნდა ჩატარდეს შეხვედრები ქალთა სხვადასხვა ჯგუფთან საერთო პრობლემების გამოსავლენად. ის დაეხმარება მათ შეთანხმდნენ ეროვნულ დონეზე ქალთა ინტერესებთან დაკავშირებულ ძირითად საკითხებზე.

**ნაბიჯი 2: ალტერნატიული ინფორმაციის შეგროვება და ანალიზი**

იმ საკითხების შეთანხმების შემდეგ, რომელიც განსაკუთრებულ შეშფოთებას იწვევს, უნდა შეგროვდეს მონაცემები ძირითად საკითხებთან დაკავშირებით და გაკეთდეს ანალიზი ქალთა მდგომარეობის შესახებ. შეფასების ინსტრუმენტად სასურველია იმ კონკრეტული ნაბიჯებისა და ზომების გამოყენება, რომელიც სახელმწიფომ მიიღო კონვენციის ძირითადი დებულებების შესრულებისას. ამ ინფორმაციაზე დაყრდნობით ხდება გამოსავალი გზების მოძიება და ეროვნულ დონეზე ქალთა თანაბარი შესაძლებლობების მისაღწევად რეკომენდაციების შემუშავება.

**მუხლი 24**

მონაწილე სახელმწიფოები ვალდებულებას კისრულობენ, მიმართონ ყველა აუცილებელ ზომას ეროვნულ დონეზე ამ კონვენციით აღიარებული უფლებების სრული რეალიზაციის მისაღწევად.

თუკი ქვეყანას წარდგენილი აქვს CEDAW-ს კომიტეტში პერიოდული ანგარიში, უნდა მოხდეს კომიტეტის საბოლოო ანგარიშის დასკვნითი შენიშვნების შეფასება, რომელიც გახდება ინფორმაციის საფუძველი, საკვანძო და ახალი ანგარიშისათვის.

იქამდე, სანამ CEDAW კომიტეტს წარედგინება ალტერნატიული ანგარიში, ინფორმაციის მოპოვება შესაძლებელია სხვადასხვა საშუალებით. ზოგჯერ ქალთა ჯგუფებს ურჩევნიათ წარადგინონ რამდენიმე არასამთავრობო ორგანიზაციასთან კოორდინებული ძალისხმევის შედეგად მომზადებული ყოვლისმომცველი ანგარიში ქალთა მდგომარეობის შესახებ ეროვნულ დონეზე.

ამ შემთხვევაში, ქალთა ჯგუფები დაინტერესებულნი არიან, რომ აკონტროლონ CEDAW-ს დებულებების განხორციელება, შეთ-

ანხმება ხდება იმის თაობაზე, რომ გადაანაწილონ პრობლემური სფეროს ორგანიზაციებს შორის და ყოველმა ორგანიზაციამ წარმოადგინოს ალტერნატიული ინფორმაცია სხვადასხვა პრობლემური სფეროების შესახებ (მაგალითად, ჯანდაცვა, განათლება და ა.შ.).

ზოგიერთ შემთხვევაში, როდესაც შესაძლებლობები შეზღუდულია, ან მცირე დროა, ქალთა ჯგუფები წერენ ანგარიშს, რომელშიც აისახება რამდენიმე პრიორიტეტული პრობლემა და საკითხი.

იმისათვის, რომ მაქსიმალურად გაიზარდოს ძალისხმევა, აუცილებელია განვიხილოთ შემდეგი საკითხები:

- ყურადღებით გავეცნოთ დასკვნით შენიშვნებს, რომლებიც მომზადდა CEDAW-ს კომიტეტის ან სხვა სახელშეკრულებო ორგანოების მიერ ქვეყნის ხელისუფლების მიერ წარდგენილ წინა ანგარიშის განხილვისას;
- შევკრიბოთ ის დოკუმენტები და კანონები, რომლებიც უზრუნველყოფს საჭირო ინფორმაციას ქვეყანაში ქალთა მდგომარეობაზე. ამ შემთხვევაში, აუცილებელია ინფორმაცია მიღწეული შედეგების ან ქალთა მდგომარეობის გაუმჯობესების კუთხით მთავრობის მიერ ნაკისრი საერთაშორისო ვალდებულებების შეუსრულებლობის შესახებ (მაგალითად, CEDAW-ს კონვენციის რატიფიცირებისას აღებული ვალდებულებები, ან სხვა შეთანხმებები ადამიანის უფლებების შესახებ, ან ის ვალდებულებები, რომელიც შედის სამოქმედო გეგმასა და მსოფლიო კონფერენციის საბოლოო დოკუმენტებში, როგორიცაა პეკინის მსოფლიო კონფერენცია ქალთა მდგომარეობაზე);
- სახელმწიფო აპარატის ეფექტური მუშაობის შესახებ ინფორმაცია, რომელიც მიმართულია ადამიანის უფლებების დაცვაზე, კერძოდ, ქალთა უფლებებზე. თუკი ქვეყანაში არსებობს დისკრიმინაციული ხასიათის კანონი, საჭიროა ამონარიდები ასეთი კანონებიდან, ასევე, სასამართლოს დასკვნითი გადაწყვეტილებები, რომელიც ეხება ქალთა უფლებებს;
- ალტერნატიული ანგარიში, ასევე, შესაძლებელია წარედგინოს სხვა სახელშეკრულებო ორგანოებს განსახილველად, ვინაიდან, ბევრი საკითხი CEDAW-ს კონვენციაში ადამიანის უფლებათა ხელშეკრულებებისა და სხვა ნორმატიული აქტების ფარგლებშია წარმოდგენილი;
- მონაცემთა შეგროვებისა და ანგარიშის მომზადებისას აუცილებელია განისაზღვროს რამდენად კვეთენ CEDAW-ს ალტერნატიულ ანგარიშში მოყვანილი საკითხები სხვა ნორმატიულ აქტებს და რამდენად შეიცავენ შესაბამის ინფორმაციას იმ პრობლემებისა და უფლებების შესახებ. მაგალითად, ინფორმაცია გოგონათა უფლებების დაცვის მდგომარეობაზე შეიძლება გაიგზავნოს ბავშვთა უფლებების კომიტეტში.

## მუხლი 25

1. ეს კონვენცია ხელმოსაწერად ღიაა ყველა სახელმწიფოსათვის.

2. გაეროს გენერალური მდივანი დანიშნულია ამ კონვენციის დეპოზიტარად.

3. ეს კონვენცია ექვემდებარება რატიფიკაციას, სარატიფიკაციო სიგელები შესანახად გადაეცემა გაეროს გენერალურ მდივანს.

4. ეს კონვენცია ღიაა მისაერთებლად ყველა სახელმწიფოსათვის. მიერთება ხდება გაეროს გენერალური მდივნისათვის მიერთების დოკუმენტის გადაცემით.

## მუხლი 26

1. ამ კონვენციის გადასინჯვის თაობაზე თხოვნა შეიძლება წამოაყენოს ნებისმიერმა მონაწილე სახელმწიფომ გაერთიანებული ერების გენერალური მდივნისათვის წერილობითი შეტყობინებით.

2. გაერთიანებული ერების გენერალური ასამბლეა იღებს გადაწყვეტილებას ასეთი თხოვნის შესაბამისად საჭირო რაიმე ღონისძიებების განსახორციელებლად.

## მუხლი 27

1. ეს კონვენცია ძალაში გაერთიანებული ერების გენერალური მდივნისათვის მეოცე სარატიფიკაციო სიგელის ან მიერთების დოკუმენტის გადაცემიდან ოცდამეათე დღეს.

2. ყოველი სახელმწიფოსათვის, რომელიც ამ კონვენციის რატიფიკაციას მოახდენს ან მიუერთდება მას მეოცე სარატიფიკაციო სიგელის, ან მიერთების დოკუმენტის გადაცემის შემდეგ, ეს კონვენცია ძალაში შედის მისი სარატიფიკაციო სიგელის ან მიერთების დოკუმენტის გადაცემის ოცდამეათე დღეს.

**ნაბიჯი 3: ალტერნატიული ანგარიშის მომზადება**

ალტერნატიული ანგარიშის მომზადებისათვის აუცილებელი პირობები:

- მონაწილე სახელმწიფოს მიერ მომზადებულ ეროვნული ანგარიშზე ხელმისაწვდომობა. ანგარიშის ასლების მისაღებად შესაძლებელია მივმართოთ კომიტეტს ელექტრონული ფოსტით მისაართზე: cedaw@ohchr.org.
- ალტერნატიული ანგარიშის მომზადება ეროვნული ანგარიშისაგან დამოუკიდებლად, თანაც ანგარიში შეიძლება იყოს როგორც ყოვლისმომცველი, ანუ ეხებოდეს CEDAW-ს კონვენციის ყველა მუხლს, ასევე მოიცავდეს ერთ, ან ორ, პრიორიტეტულ პრობლემას, რომელიც გამოვლინდა ქალთა ჯგუფებთან კონსულტაციის დროს;
- ანგარიშის წარდგენასთან დაკავშირებით ადამიანის უფლებათა ყველა სახელშეკრულებო ორგანოს სახელმძღვანელო პრონციპების გაცნობა, რათა არასამთავრობო ორგანიზაციები დააკვირდნენ, მონაწილე სახელმწიფოს ანგარიშის შესაბამისობას სახელმძღვანელო პრონციპებთან.

სანამ სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლები დაიწყებენ ანგარიშის მოზადებას, აუცილებელია გაეცნონ ადამიანის უფლებათა სახელშეკრულებო ორგანოების კონკრეტულ დირექტივებს ანგარიშის წარდგენასთან დაკავშირებით. მათი ანგარიშის სტრუქტურა დაახლოებით უნდა შეესაბამებოდეს ოფიციალურ სახელმწიფო ანგარიშებს.

ავტორების ამოცანაა გააკეთონ სისტემატური ანალიზი თუ რამდენად პასუხობს აღნიშნული ხელშეკრულების ნორმებს მონაწილე სახელმწიფოს კანონმდებლობა, პოლიტიკა და პრაქტიკა.

**წერილობითი ანგარიში უნდა იყოს**:

- მკაფიო, ზუსტი, დასაბუთებული და ობიექტური;
- აქცენტი გაკეთდეს ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებულ პრობლემებზე და მოიცვას კონკრეტული რეკომენდაციები, თუ როგორ უნდა გააუმჯობესოს ქვეყანაში ადამიანის უფლებების კუთხით არსებული მდგომარეობა;
- თუ შესაძლებელია, ანგარიში წარადგინოს სახელმწიფო ანგარიშის განხილვის სავარაუდო თარიღის დანიშვნამდე. ვინაიდან, ადამიანის უფლებათა სახელშეკრულებო ორგანოებს საშაულება ეძლევათ ყურადღება მიაქციონ აღნიშნულ წერილობით ანგარიშს სესიამდე და საბოლოო კომენტარების შემუშავებამდე.

**მოთხოვნები**:

- სამოქალაქო საზოგადოების სუბიექტების მიერ წარდგენილი ინფორმაცია უნდა ეხებოდეს კონკრეტულ ქვეყანას და შეესაბამებოდეს ადამიანის უფლებათა იმ სახელშეკრულებო ორგანოს მანდატს, რომლის მისამართითაც იგზავნება. შეძლებისდაგვარად, ზუსტად უნდა მიეთითოს ხელშეკრულების თუ რომელი მუხლი იქნა დარღვეული;
- ბრალდებები, ადამიანის უფლებათა დარღვევის შესახებ, ყველა შემთხვევაში, უნდა იქნას გამყარებული შესაბამისი მტკიცებულებებითა და დოკუმენტებით;
- ყველა ინფორმაცას ზუსტად უნდა მიეთითოს წყარო. გაეროს დოკუმენტების მითითებისას აუცილებელია პარაგრაფის ნომერი, ვინაიდან ერთსა და იმავე დოკუმენტს სხვადასხვა ენაზე შესაძლებელია ჰქონდეს გვერდების სხვადასხვა რაოდენობა. იგივე ეხება ციტატებს სახელმწიფო ანგარიშიდან, მითითებული წყარო უნდა შეესაბამებოდეს გაეროში წარდგენილ ტექსტის ოფიციალური ვერსიას;
- ადამიანის უფლებათა შესაბამისი სახელშეკრულებო ორგანოების სამდივნოსათვის აუცილებელია შეტყობინების ტექსტის მომზადება ელექტრონულ ფორმატში და ასლების საკმარისი რაოდენობა, ვინაიდან, სამდივნოს არ აქვს საშუალება გაამრავლოს სამოქალაქო საზოგადოების მიერ მიწოდებული მასალა;
- დოკუმენტები, რომლებიც შეიცავენ შეურაცხმყოფელ გამონათქვამებს, არ მიიღება.

**მუხლი 28**

1. გაეროს გენერალური მდივანი იღებს და ყველა სახელმწიფოს უგზავნის რატიფიკაციის ან მიერთების მომენტში სახელმწიფოთა მიერ გაკეთებულ დათქმათა ტექსტს.

2. დათქმა, რომელიც შეუთავსებელია ამ კონვენციის მიზნებსა და ამოცანებთან, არ მიიღება.

3. დათქმები შეიძლება გაუქმდეს ნებისმიერ დროს გენერალური მდივნის სახელზე გაგზავნილი შესაბამისი შეტყობინებით. გენერალური მდივანი ამის შესახებ აცნობებს ყველა მონაწილე სახელმწიფოს. ასეთი შეტყობინება ძალაში შედის მისი მიღების დღიდან.

## 6.2 რეკომენდაციები ალტერნატიული ანგარიშის მოსამზადებლად

### ნაბიჯი 4: ალტერნატიული ანგარიშის განხილვა და გავრცელება

არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ ქვეყანაში ქალთა მდგომარეობის შესახებ ალტერნეტიული ანგარიშის წარდგენასთან დაკავშირებით არსებობს ორი შესაძლებლობა:

პირველი - CEDAW-ს კომიტეტის სხდომის წინ;
მეორე - CEDAW-ს კომიტეტის სხდომაზე;

გარდა ამისა, არასამთავრობო ორგანიზაციებს შეუძლიათ დასრულებული ანგარიში, როგორც პროპაგანდის მეთოდი, ცნობიერების ამაღლებისა ან შესაძლებლობების გაზრდის ინსტრუმენტი, მიაწოდონ სხვა არასამთავრობო ორგანიზაციებს, სახელწიფო სტრუქტურებს და ქვეყნის ოფიციალურ პირებს. ანგარიშები, ასევე, შეიძლება გაიგზავნოს ადამიანის უფლებათა სხვა სახელშეკრულებო ორგანოების კომიტეტებში.

## მუხლი 29

1. თუ ორ ან რამდენიმე მონაწილე სახელმწიფოს შორის ამ კონვენციის განმარტებისა თუ გამოყენების თაობაზე არსებული დავა მოლაპარაკების გზით ვერ გადაწყდება, ერთ-ერთი მათგანის თხოვნით იგი არბიტრაჟისათვის გადაეცემა. თუ საარბიტრაჟო განხილვის თაობაზე განცხადების შეტანიდან 6 თვის განმავლობაში მხარეები ვერ შეთანხმდებიან საარბიტრაჟო განხილვის ორგანიზებაზე, ნებისმიერ მხარეს შეუძლია მოითხოვოს დავის საერთაშორისო სასამართლოში გადატანა, ამ სასამართლოს სტატუსის შესაბამისად.

2. ნებისმიერ მონაწილე სახელმწიფოს ამ კონვენციის ხელმოწერის ან რატიფიკაციის, ან მასთან მიერთების დროს შეუძლია თავი შეიკავოს ამ მუხლის I პუნქტის დებულებების სავალდებულო ძალის აღიარებისაგან. სხვა მონაწილე სახელმწიფოებს არ ეკისრებათ ამ მუხლის მითითებული პუნქტიდან გამომდინარე ვალდებულებები იმ მონაწილე სახელმწიფოს მიმართ, რომელმაც ამგვარი დათქმა გააკეთა.>>

## 6.3 CEDAW-ს კომიტეტის წინასასესიო სხდომა

ანგარიშების განხილვის პროცესი იწყება CEDAW-ს კომიტეტის სამუშაო ჯგუფის პირველ შეხვედრაზე. სამუშაო ჯგუფი ავლენს მონაწილე სახელმწიფოების ყველა ანგარიშში არსებულ პრობლემებს და ამზადებს მონაწილე სახელწიფოს ანგარიშთან დაკავშირებულ შენიშვნებსა და კითხვებს. სახელმწიფო, თავის მხრივ, ვალდებულია სესიის დაწყებამდე, სანამ განიხილება მონაწილე სახელმწიფოს ანგარიში, წარადგინოს წერილობითი პასუხი სამუშაო ჯგუფის მიერ დასმულ საკითხებზე.

კომიტეტის წინასასესიო სხდომა ძალიან მნიშვნელოვანია, ვინაიდან ის განსაზღვრავს მიმართულებებსა და საკითხებს CEDAW-ს კომიტეტსა და მონაწილე სახელმწიფოს შორის სესიის მიმდინარეობისას. გარდა ამისა, ეს არის ბოლო შესაძლებლობა დაავალდებულო სახელმწიფო მიაწოდოს ინფორმაცია წერილობითი სახით იმ პრობლემური საკითხების შესახებ, რომელზეც კომიტეტმა პასუხი ვერ მიიღო.

ქალთა დისკრიმინაციის აღკვეთის კომიტეტი (CEDAW) გამოყოფს სპეციალურ დროს, რათა სამოქალაქო საზოგადოების სუბიექტებმა შეიტანონ თავიანთი წვლილი წინასასესიო სამუშაო ჯგუფის მუშაობაში. წინასასესიო სამუშაო ჯგუფის მუშაობაში სამოქალაქო საზოგადოების მიერ შეტანილი წვლილი შესაძლებელია აისახოს იმ თემებსა და საკითხებში, რომელიც გაეგზავნება მონაწილე სახელმწიფოს. გარდა ამისა, წინასასესიო სამუშაო ჯგუფები შესაძლებლობას აძლევს სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებს წარმოადგინონ წერილობითი ინფორმაცია ან ანგარიში. ამგვარად, ეს პერიოდი ძალიან მნიშვნელოვანია არასამთავრობო ორგანიზაციებისათვის, ვინაიდან, ამ დროს, მათ შეუძლიათ ჩაერიონ პროცესში და ქალთა პრობლემებთან დაკავშირებით მიაწოდონ უფრო მნიშვნელოვანი ინფორმაცია. ეს ეხმარება წინასასესიო სამუშაო ჯგუფს იმ საკითხებისა და პრობლემების გამოვლენაში, რომელზედაც მათ სურთ მიიღონ პასუხი ხელისუფლებისაგან.

არასამთავრობო ორგანიზაციებს შეუძლიათ, ასევე, წარადგინონ კრიტიკული საკითხების სია პირდაპირ გაეროს სამდივნოში, რომელიც პასუხისმგებელია CEDAW-ს კომიტეტის მომსახურებაზე (ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისრის სამმართველო) კომიტეტის წინასასესიო სხდომამდე ორი კვირით ადრე, ელექტრონულ მისამართზე: cedaw@ohchr.org

წერილობითი ინფორმაცია, წარდგენილი ადამიანის უფლებათა სახელშეკრულებო ორგანოებში (ამ შემთხვევაში CEDAW კომიტეტში), ჩვეულებრივ, ღიაა. თუმცა კომიტეტები მას განიხილავენ როგორც კონფიდენციალურს, თუკი მიიღებენ თხოვნას ამის შესახებ.

სამოქალაქო საზოგადოების წერილობითი მიმართვები ადამიანის უფლებათა კონკრეტულ სახელშეკრულებო ორგანოების სესიის მისამართით ხელმისაწვდომია ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისრის სამმართველოს სახელშეკრულებო ორგანოს ვებ-გვერ-ზე, ხოლო წერილობითი მიმართვების ტექსტი - ბავშვთა უფლე-ბების კომიტეტის მისამართზე, ბავშვთა უფლებების კონვენციის შესახებ არასამთავრობო ორგანიზაციების ჯგუფის საინფორმა-ციო ქსელის ვებ-გვერდზე.

## 6.4 CEDAW-ს კომიტეტის სესიები

კომიტეტის სესიები, ჩვეულებრივ, სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებს შესაძლებლობას აძლევს შეხვდნენ კომიტეტის წევრებს არაფორმალურ გარემოში. არასათავრობო ორგანიზა-ციების მიერ ორგანიზებული არაფორმალური ბრიფინგი, შეიძლე-ბა გაიმართოს როგორც დამატებითი ღონისძიება ოფიციალური სხდომის ფარგლებს მიღმა, უმეტესად, სადილის დროს 13.00-დან 15.00 საათამდე. სასურველია გვახსოვდეს, რომ ამგვარ ბრიფინგს თარჯიმნები არ ესწრებიან.

ასეთი სახის ბრიფინგი ტარდება მონაწილე სახელმწიფოს ოფი-ციალური ანგარიშის განიხილვის წინ, ან განხილვის დღეს. კარგად ორგანიზებულმა და კოორდინირებულმა ბრიფინგმა შესაძლებე-ლია მიიზიდოს კომიტეტის წევრები და უფრო ეფექტური იქნება, ვიდრე სხვა საკითხებზე გამართული მრავალრიცხოვანი ბრიფ-ინგი. ზოგიერთ შემთხვევაში კომიტეტის მდივანს შეუძლია ხელი შეუწყოს ბრიფინგის ჩატარებას, დაუთმოს ოთახი, აღჭურვილობა და გააფრთხილოს კომიტეტის წევრები ღონისძიების შესახებ.

მასალა, რომელიც მიეწოდება CEDAW-ს კომიტეტს უნდა შეიცავდეს:

1. ანგარიშის დაწერაში მოაწილე არასამთავრობო ორგანიზაციე-ბის სრულ სიას და დასახელებას;
2. ქვეყნის დასახელებას, რომელსაც მიეკუთვნება ანგარიშში მოყვანილი ინფორმაცია;
3. ანგარიში იგზავნება CEDAW-ს კომიტეტში განსახილველად ელექტრონული სახით, PDF ფორმატით, შემდეგ იგზავნება დოკუმენტის 30 ასლი ფოსტით.

ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისრის სამმართველო უზ-რუნველყოფს ანგარიშის ელექტრონული ასლების გავრცელებას კომიტეტის წევრებთან სესიის დაწყებამდე ცოტა ხნით ადრე. გარდა ამისა, ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისრის სამ-მართველო უზრუნველყოფს არასათავრობო ორგანიზაციების ალტერნატიული ანგარიშის გამოქვეყნებას მის ოფიციალურ ვებ-გვერდზე. არასამთავრობო ორგანიზაციების დელეგაციის წევრებმა უნდა წარუდგინონ ალტერნატიული ანგარიშის რამდენ-იმე ასლი, ასევე, კომიტეტის წევრებს და სხვა ნებისმიერ ორგა-ნიზაციას (მაგალითად, გაეროს სააგენტოებს), რომელიც ესწრება CEDAW-ს სესიას.

3. ნებისმიერ მონაწილე სახელმწიფოს, რომელმაც ამ მუხლის II პუნქტის თანახმად დათქმა გააკეთა, შეუძლია ნებისმიერ დროს გაერთიანებული ერების გენერალური მდივნისათვის შეტყობინებით გააუქმოს თავისი დათქმა.

### მუხლი 30

ეს კონვენცია, რომლის თანაბრად ავთენტური ტექსტი შედგენილია არაბულ, ესპანურ, ინგლისურ, რუსულ, ფრანგულ და ჩინურ ენებზე, დეპონირებულ უნდა იქნას გაერთიანებული ერების გენერალურ მდივანთან.

## გამოყენებული ლიტერატურა

კონვენცია ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ;

ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ კონვენციის ფაკულტატური ოქმი;

მკვლევართა ჯგუფი: ,,ქალთა მიმართ ოჯახში ძალადობის საკითხების ეროვნული კვლევა საქართველოში", 2010;

ჩარიტა ჯაში, მიხეილ თოქმაზაშვილი: ,,საქართველოს ფინანსური პოლიტიკის გენდერული განზომილება", 2009;

ძალადობისგან დაცვის ეროვნული ქსელი: ,,ადმინისტრაციული შესაძლებლობების გაუმჯობესება პრევენციისა და ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისათვის საქართველოში", 2009;

ნანა სუმბაძე; ,,გენდერი და საზოგადოება: საქართველო", 2008;

ქალთა საგანმანათლებლო ცენტრი „თორი": ,,სექსიზმი ქართულ მედიაში", 2008.

